ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

შაბათი,
19 მაისი,
1990 წ.
№ 54 (11540)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა: დამთავრდა პირველი ეტაპი

16 მაისს საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ განაგრძო მუშაობა.

სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნების ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ა. ვ. ინგოროყვამ დამსწრეთ მოახსენა ფარული კენჭისყრის შედეგები.

ყრილობამ დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის ინფორმაცია. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას კომუნისტთა საკავშირო ფორუმზე წარმოადგენს 98 დელეგატი.

დასასრულ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე.

მხარი დაუჭირეს რა წინა დღეს გამოთქმულ წინადადებებს, გადაწყდა შეწყვიტონ ყრილობის მუშაობა და განაახლონ იგი მას შემდეგ, რაც პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ განიხილავენ საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული აგებულების ძირითად დებულებათა პროექტს. ამასთან დაკავშირებით გადაიდო რესპუბლიკის კომპარტიის სტატუსის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ყრილობაზე მისი დელეგატებისაგან შეიქმნა კომისიები: საქართველოს კომპარტიის არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირებისა და შემადგენლობის შესახებ წინადადებათა; საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პლატფორმის შემმუშავებელი; საქართველოს კომპარტიის ყრილობის რეზოლუციისა და სხვა დოკუმენტების მოსამზადებელი; საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციის რეალიზაციის კონკრეტული პროგრამის შემმუშავებელი.

შეაჯამა რა ყრილობის ამ ეტაპის შედეგები, გ. გუმბარიძემ აღნიშნა მისი დიდი მნიშვნელობა პარტიის ერთიანობის შენარჩუნების, მისი თავისთავადობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საქმეში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიას თავის დანიშნულებად მიაჩნია ემსახუროს ხალხის ინტერესებს, დარაზმოს კომუნისტები საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის, მისი სუვერენიტეტის რეალური განხორციელებისათვის.

ყრილობამ დაავალა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან არჩეულ სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებს გააცნონ მის მონაწილეებს რესპუბლიკის კომპარტიის ეს მტკიცე პოზიცია.

ამით საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობის პირველი ეტაპი.

(საქინფორმი).




## ყურადღება!

საქართველოს სახალხო ფრონტი რეგიონულ ორგანიზაციებს და პირველად ჯგუფებს აცნობებს, რომ ამა წლის 22 მაისს, დილის 10 საათზე, ლეონიძის ქ. 2-ში (კინოს სახლი) შედგება საქართველოს სახალხო ფრონტის კონფერენცია.

კონფერენციაზე წარმომადგენლობის წესი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

1. რეგიონული ფრონტებიდან — სამ-სამი კაცი. 2. ამჟამად არსებული პირველადი ჯგუფებიდან — თითო კაცი. 3. კომისიებიდან — ორ-ორი კაცი. 4. ასოციაციებიდან — ორ-ორი კაცი.

**საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობა**





(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

## ავტორთა საყურადღებოდ!

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.**

**მასალები არ უნდა აღემატებოდეს ორი ინტერვალით გადაბეჭდილ რვა გვერდს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი ნელი თარბას

ქ-ნო ნელი!

მწერალ ქალთა საკავშირო თათბირზე თქვენ სამდურავით გამოსულხართ: ქართველი მწერლებიდან მხოლოდ მარიკა ბარათაშვილი გამომეხმაურაო. აი, მეც გეხმაურებით, თუმცა არ მესმის, რაზე და რისთვის უნდა გამოგხმაურებოდნენ ქართველი მწერლები? „ლიხნის"-აბსურდულ წერილზე ხელის მოწერისათვის? იარაღით ექსტრემისტების გამოხდომების გამო? უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ თქვენ გამოგვხმაურებოდით, რადგან ღმერთმაც იცის და კაცმაც, რომ არც ერთი ექსცესის მიზეზი ჩვენ არ ვყოფილვართ, არც ერთი ტყვია ჩვენ არ გვისვრია, ვიდრე თავს დაგვესხმოდნენ, არც რა გვიწერია, აფხაზთა დიდების გარდა...

მაგრამ გავანებოთ ამას თავი. როცა 9 აპრილს ქალები დაგვიხოცეს, ლამის ტანკებით გადაგვიარეს, მაშინ მაინც არ გეკადრებოდათ „გამოხმაურება" თუნდაც მანეთიანი დეპეშით? საინტერესოა, რადა ჩვენგან ითხოვს ყველა თავის დაკვრას და თვითონ გულთბილ სიტყვასაც არავინ იმეტებს ისეთ ვანდალურ მოვლენაზე, რომელმაც მსოფლიო შეძრა! ესეც მათ სინდისზე იყოს, მაგრამ რა სინდისზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც შენს ჭერქვეშ მყოფნი სიკვდილშიაც არ თანაგიგრძნობენ!

ჩვენ ძმობა და მშვიდობა გვინდა, პასუხად კი გვესმის: „არა ვართ თქვენი ძმები!" კაცმა რუსთაველის პრემია ორივე ხელით მიიღო და დღეს ცალი ხელითაც არ მიესალმება ჩვენს თავისუფლების სულისკვეთებას, ჩვენს ძმობას ხელსა ჰკრავს... ჩვენ მაინც ძმობა გვინდა, რადგან ასეთია ჩემი ერის ხასიათი, ქრისტესმიერი სული, და გვახსოვს ბრძენი საბას სიტყვები: „გინება განლესს ხრმალთა და წამახვავს ლახვართა; გინება დასთხევს სისხლსა და იქმს კაცთა წყევლასა და სიკვდილსა".

აქ ბიბლიური იგავი უნდა გავიხსენო. ერთხელ სამარიის გზაზე ქრისტეს ათი კეთროვანი შეხვდა და შეევედრნენ: მოგვარჩინეო. ქრისტემ ტაძრის გზა უჩვენა. ამ გზაზე ათივე განიკურნა. უკან კი მხოლოდ ერთი, სამარიტელი დაბრუნდა, რომ ღმერთისათვის მადლობა ეთქვა. სხვები არ განიკურნენო? — ჰკითხა იესომ.

არ იფიქროთ, რომ ჩემი ეპისტოლე ვედრებისა და მტკიცებისა იქნება. ამაოება ამაოთა არა მწამს, ადამიანმა თვითონ უნდა შეიგნოს თავისი შეცდომა და შეცოდება. ვერაფერს შეასმენ იმას, ვინც „ხედვით" ჰხედვიდეს და არა იხილოს, სმენით ესმოდეს და არა გულისხმა-ჰყოს".

მე მხოლოდ ის მაოცებს, როგორ შეიძლება პოეტი იყოს შოვინისტი, თესავდეს განხეთქილების ვაშლებს და აქეზებდეს მკვლელებს, ორივე ხალხის მტრებს, რომელთაც კალმის ნაცვლად ავტომატი აუღიათ!

მერე რისთვის? ამდენი ალერსის, დაფასების, ამაღლების, ფიანდაზების, თარგმნის, გამოცემის, გაუგონარი პრივილეგიებისათვის? კაცს რომ ვეწვიო და მესამე დღეს ავუხირდე, ეს სახლი ჩემია, გამეცალეო, — ადამიანობა იქნება თუ ძალმომრეობა? ვინც იარაღი აიღო, დაგვარბია, გვესროლა, რუსთაველის პორტრეტი დაგვიხია, დაჭრილს არ მიეშველა, და კიდევ ყველა ეს დანაშაული აქეთ გადმოგვაფერთხა, თავისი ვერაგობა ჩვენ მოგვაწერა, ყრილობაზე გამოვიდა დემაგოგიური ცილისწამებით, უცხოეთში გააგზავნა ბინძური წერილები, იმასთან ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რამეთუ ესაა მონღოლოიდური, ვანდალური დონე, მაგრამ თქვენ ხომ პოეტი ხართ, ქართველთა მეგობრობას ფიცულობდით, რომელი ყანა წაგართვით, რომ აშლილხართ, მწერალ ქალთა საკავშირო კონფერენციაზეც კი გუშინდელ მეგობრებს, კავკასიის ძირძველ ერს თათხავთ, თავზე ნაგავს აფრქვევთ, და საკადრისი პასუხი რომ არ გაეცათ იქვე, ათას მტერს გვიჩენდით?! ბარაქალა თქვენს ქალობას! თქვენს პოეტობაზე კი ერთსაც ჩავახველებდი: თქვენ არა ხართ ის სამარიტელი, რომელიც ხალხთა კეთილ მეგობარს და თუნდაც მაცხოვარს მადლობას ეტყვით. პირიქით, შეიძლება გალანძღოთ კიდეც: ტაძრის გზა რატომ მიჩვენა, იქვე რატომ არ განმკურნაო კეთრისაგან! საით მიდის თქვენი ტაძრის გზა?

სახარება თუ წაგიკითხავთ? „რომელი ჭამდა ჩემთანა პურსა, მანვე აღიღო ჩემზედა ბრჭყალი მისი". მესამე ძალას უკმევთ საკმეველს, იმის ნაცვლად, რომ მოსეს ტაძარში ავის მოსურნე ეშმაკთან შეყრილი ფარისეველნი განდევნოთ ძმობის ტაძრიდან! ბარაქალა თქვენს ქალობას! ეს მამაკაცთა საქმეა — მავნე მამაკაცთა, ფლიდთა და მოშულართა! დედის საქმეა ძმობის ქადაგება, ხომ იცით, რომ არსაით წაგვესვლება და ეს მიწა მისია, ვისი ტაძრებიც იქ დგას.

სხვათა შორის, ვინ ააშენა ეს ტაძრები? თუ თქვენ, რატომაა იქ ქართული ასომთავრული, ვინ რა ენაზე სწირავს იქ ათასი წლის განმავლობაში? რა სალმრთო წიგნები გქონდათ თარგმნილი? სადაა მერე მეგლები? თუ დავით აღმაშენებელიც კი აფხაზი იყო, რატომაა ის მთლად საქრთველოს მეფე, რატომ დაწერა ქართულ ენაზე საგალობლები, ვისთვის ააგო გელათი? რანაირად ააგო მოქვი და ბიჭვინთა მცირე ხალხმა, რომელსაც არ ჰქონია დამწერლობა და აგერ ასი წლის წინ შეუქმნეს ანბანი ბაქრაძემ, გეგიამ და მაჭავარიანმა? მერე ის, ქართულზე აგებული ანბანიც დაიწუნეთ და ახლა პუშკინის ანბანზე ხართ, რაც დიდი პატივია, მაგრამ ზღვის ტერმინოლოგიაც რომ არ გააჩნიათ ბიჭვინთის და კოლხეთის პრეტენდენტებს, გემს „ალოდკას" ეძახიან, ზღვას „ამორეს", ამას რაღა ეშველება?

თქვენ გითქვამთ, რა უპირატესობა აქვთო ქართველებს ჩვენთან შედარებით? ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ არ გეჯიბრებით... ჯერ ჩვენამდე უნდა მობრძანდეთ და მერე გავმართოთ ძმური პაექრობა... მაგრამ გელათის, ალავერდის, დავით გარეჯის, შიო მღვიმის, ანჩისხატის, „ვეფხისტყაოსნის" პატრონს რომ ეჩემებოდეს ის, ვისი პირველი მწერალიც 1960 წელს გარდაიცვალა — ესეც ჩემთვის მორიგი თავსატეხია. სხვათა შორის, ჩვენ გულიას, გოეთეს საკადრისი ძეგლი ავუგეთ თბილისში. რუსთაველისა და აკაკის ძეგლები კი თქვენმა ძმებმა სოხუმში დაასახიჩრეს. რუსთაველის პრემია დახარჯეს...

თქვენმა მეგობრებმა, „ლიხნის" წერილის ავტორებმა, შვედებს და გერმანელებს დაუჩოქეს: გვიხსენითო ქართველი ფაშისტებისაგან(?!)... მისამართიც შეეშალათ: განა უფრო უპრიანი არ იქნებოდა, ასეთი წერილები დაეგზავნათ თუნდაც როდიონოვის ან კატუსევისათვის, კატასავით რომ გვდარაჯობენ ახლა? ოცი ათასი ტაძრის მშენებელ ერს რომ ზარმაცი უწოდო და მიწა არ იძრას, არის სადმე ღმერთი? პოეტი ბრძანდებით, მეორე საფო, რომელიც ლევკადიის კლდიდან არასოდეს არ გადახტებით, რადგან ლევკადია შორსაა, თქვენ კი არგონავტი არ ბრძანდებით, — აბა ესეც განსაჯეთ: იოანე პეტრიწის, მთაწმინდელების, რუსთაველის ერს რომ უვიცი უწოდონ, ამაზე მეტი სირეგვნე შეიძლება? „აფხაზთა მეფემ" დავითმა რომ თურქ-სელჯუკთა გაერთიანებული ოთხასიათასიანი ურდო შემუსრა, ან თქვენებრ მანდილოსანმა მზე-თამარმა რომ ბასიანის და შამქორის ომები მოიგო, — მაშინ სადღა იყვნენ ის ჩვენი მსაჯულები?

1990 წელი ცხენის წელია. აღმოსავლელ წინასწარმეტყველთა აზრით, ესაა სიკეთისა და სიყვარულის წელი. იქნებ ჩვენი თეთრი გიორგის ცხენმა ჩვენც მოგვიტანოს სიკეთე. თქვენ ხომ არ გეწყინებათ ეს? თუმცა მას შემდეგ, რაც ყრილობის დარბაზიდან გავიდა ყველა ღირსეული დეპუტატი, — რამეთუ ვერ მოითმინეს ტლანქი მხედრული ჩექმით სიმართლის გათელვა, — მაშინაც რომ დარბაზში დარჩნენ ალანები და აფსუები, — ყოველივე ამის შემდეგ არც ის გამიკვირდება, თუ ვინმე არძინბა ან ჩოჩიევი წმინდა გიორგის ესვრიან და თქვენნაირი პოეტები ტაშს დაუკრავენ.

**აკაკი გელოვანი**

# პოლიტიკური ეკონომია—

## სიმართლე უნდა

**ამ საერთო სათაურით მიმდინარე წლის 8 თებერვალს მკითხველს სადისკუსიოდ შევთავაზეთ ორი პუბლიკაცია — პროფესორ ალექსანდრე კუჭუხიძის „ახლა მაინც ვთქვათ სიმართლე" და თბილისის მენეჯერთა სკოლის ახალგაზრდა ლექტორების პაატა ლეიაშვილის, რამაზ ახმეტელისა და ლადო პაპავას თეორიული კურსის პროექტი სათაურით „არის პროექტი, გამოგვეხმაურეთ" და ამით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელთა მიერ პოლიტიკური ეკონომიის სწავლების საკითხებზე დაწყებული საუბარი გავაგრძელეთ.**

**პროფესორ ალექსანდრე კუჭუხიძის წერილს ბევრი გამოეხმაურა. ავტორთა საერთო განწყობილებას მეტ-ნაკლებად სრულად გამოხატავს პროფესორ გივი გოშაძისა და დოცენტ თენგიზ დემეტრაშვილის წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ (აქვე ვაქვეყნებთ რამდენიმე მოსაზრებას დოცენტ ვალერიან რეხვიაშვილის წერილიდანაც „მართლაც ვთქვათ სიმართლე").**

**იმასაც დავსძენთ, რომ ა. კუჭუხიძესთან დავასა თუ მის მხარდაჭერაში მოკამათეებმა თითქმის სრულიად უყურადღებოდ დატოვეს (გამონაკლისი იყო ერთადერთი წერილი სოხუმიდან) თბილისის მენეჯერთა სკოლის ახალგაზრდა ლექტორების დიდი სურვილი და მეცადინეობაც — პირველი კონკრეტული ნაბიჯი გადაედგათ ამ გაცხარებულ დავა-კამათში სინათლის შესატანად.**

**ამასობაში კი ისევ ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მონდომებით 19 აპრილს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის წინ ჩატარებული მიტინგის შემდეგ გადაწყდა, რომ პირველი მაისიდან უნივერსიტეტში შეწყდება პოლიტეკონომიის საგნის სწავლება და მოიხსნება ჩათვლები და გამოცდები. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა. დანარჩენს დრო და მომავალი გვიჩვენებს.**

მეცნიერების ისტორია პარადოქსებითაა სავსე: ხშირად შემთხვევითი მოვლენა მნიშვნელოვანი აღმოჩენის მიზეზი ხდება. ცნობილია ნიუტონისა და ვაშლის, არქიმედისა და აბაზანის ისტორია. არც ეკონომიკური მეცნიერებაა თავისუფალი ასეთისაგან. დავიდ რიკარდო, ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მამამთავარი, ბირჟის მაკლერი იყო. მის ჰობს მინერალოგია წარმოადგენდა. ერთხელ იგი ინგლისის ქალაქ ბათში ისვენებდა. იქ მან ბიბლიოთეკაში ყოფნისას შემთხვევით გადმოაგდო წიგნი თაროდან. აიღო იგი ადგილზე დასადებად და გადასინჯა. ეს წიგნი აღმოჩნდა ადამ სმიტის სახელმოხვეჭილი ნაშრომი: „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ". რიკარდო დაინტერესდა ამ წიგნით. მან თავისი გატაცება — მინერალოგია პოლიტიკური ეკონომიით შეცვალა. ამ დროს იგი 27 წლის ენერგიით აღსავსე ჭაბუკი იყო. მისი არჩევანი სწორი გამოდგა: კვალი დაამჩნია პოლიტიკური ეკონომიის განვითარებას.

გვებადება კითხვა: რამ აიძულა პროფესორი ალ. კუჭუხიძე, განათლებით რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერი, მიეტოვებინა თავისი კვლევის ობიექტი — საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკის სფერო და ხანდაზმულ ასაკში „კვლევა" პოლიტიკურ ეკონომიაში გადმოეტანა. ეგება იმან, რომ იგი ბოლოს და ბოლოს მიხვდა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს, როგორც ეკონომიკის დარგის (ამ სიტყვის მეცნიერული გაგებით), არარსებობას ჩვენს ქვეყანაში.

რა თქმა უნდა, მეცნიერის ასაკი მისი კვლევის შედეგებისათვის ნაკლებმნიშვნელოვანია. ვინ არ იცის, რომ ფრანსუა კენემ პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას 60 წლის ასაკში მოჰკიდა ხელი. მეცნიერულ კვლევაში არც საბაზო განათლებას და სპეციალობას აქვს დიდი მნიშვნელობა. იგივე კენე ხომ ექიმი იყო. მეცნიერისათვის (საზოგადოებისათვისაც) მნიშვნელოვანია მხოლოდ კვლევის სწორად წარმართვა და სასურველი შედეგების მიღება. კენემ შექმნა ფრანგული ფიზიოკრატიული სკოლა და კაცობრიობის ისტორიაში უკვდავყო თავისი სახელი.

რა შედეგები მოიპოვა პროფესორმა ალ. კუჭუხიძემ თავისი პოლიტეკონომიური გამოკვლევით, რომელიც გადმოცემულია სტატიაში „ახლა მაინც ვთქვათ სიმართლე"? (გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" 8. II. 1990 წ.) უნდა ითქვას, რომ ერთი შეხედვით, აქ მართლაც სიმართლეა ნათქვამი სოციალიზმის ბევრ მახინჯ მოვლენაზე, მაგრამ ჩვენი აზრით ესაა შეუიარაღებელი თვალით დანახული სიმართლე, ე. ი. გაუბრალოებულად, ზერელედ, მეცნიერული ანალიზის გარეშე. რაც მთავარია, თვით საგნის არაპროფესიონალური ცოდნით.

ბატონი პროფესორის ძირითადი კრედო, რომელიც გადმოცემულია მოცემულ სტატიაში, არის კრიტიკა პოლიტიკური ეკონომიის ძველი სახელმძღვანელოებისა. ბატონი ალ. კუჭუხიძე არ მიუთითებს წიგნს (ან წიგნებს), რომელსაც იგი აკრიტიკებს და ლაპარაკობს ზოგადად. საყოველთაოდ ცნობილია მეცნიერული ეთიკის მოთხოვნა — განსასჯელი ნაშრომის დასახელება, გამოცემის წლის მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში კრიტიკა უსაგნოა და გინდ ყოფილა და გინდ არა.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფესორ ალ. კუჭუხიძეს იმაში, რომ დღეს, როდესაც მრავალი ღირებულება გადაფასდა, პოლიტეკონომიური პრობლემები არ უნდა განვიხილოთ ძველი სტერეოტიპების თვალსაზრისით. ისინი დღეს ახლებურად, ახალი მოთხოვნების შესაბამისად უნდა გაშუქდეს. ეს ასეცაა. იგი 80-იანი წლების შუა პერიოდიდან უკვე დაიწყო. ამის შესახებ ალბათ არ იცის ბატონმა ალექსანდრემ, თორემ შრომას არ დახარჯავდა ასეთი სტატიის დასაწერად. ამის გამო, მისი კრიტიკა მიმართულია სახელმძღვანელოს ისეთი დებულებებისკენ, რომლებიც უკვე საყოველთაოდ დაგმობილია. განა შეიძლება გააკრიტიკო ის, რაც უკვე უარყოფილია. ძველი სტერეოტიპები რომ პოლიტეკონომიური ბრუნვიდან ამოღებულია, ამას მოწმობს ახალი სახელმძღვანელოს გამოქვეყნება. 1988 წელს გამოიცა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო, შედგენილი სსრ კავშირის წამყვანი მეცნიერების მიერ, ვ. ა. მედვედევის ხელმძღვანელობით. აღნიშნული სახელმძღვანელო, მიუხედავად იმისა, რომ არც ის არის უნაკლო, შედგენილია ახალი მოთხოვნების შესაბამისად. მრავალი საკითხი, რომელსაც პროფესორი ალ. კუჭუხიძე „გულისტკივილით" აკრიტიკებს მათი უხეში პროპაგანდისტული ელფერის გამო, ახალ სახელმძღვანელოში სათანადო მეცნიერული სიღრმითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მასში აღარ არის მიჩქმალული სოციალიზმის ეკონომიკური წინააღმდეგობები, მათი წარმოშობის მიზეზები, სოციალიზმის თეორიისა და რეალობის დაშორება და სხვ.

გარდა აღნიშნულისა, ბოლო ხანებში გამოქვეყნდა პოლიტეკონომიის რამდენიმე წიგნი. 80-იანი წლების შუა პერიოდიდან პოლიტიკური ეკონომიის საკითხები ფართოდ შუქდება საბჭოთა ეკონომიკური პროფილის ჟურნალ-გაზეთებში. ნუთუ ამის შესახებ პროფესორმა ალ. კუჭუხიძემ არ იცის? თუ არ იცის, მაშ რა მეცნიერული სინდისი აძლევს უფლებას შეაფასოს პოლიტეკონომიური კვლევა და სწავლება, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება? მას უნდა თავისი სტატიით განგებ შექმნას ისეთი წარმოდგენა, თითქოს პოლიტეკონომებს არა აქვთ სიძნელეებიდან გამოსვლის უნარი და მან ითავა „გორდიასის კვანძის" გახსნა. ეს ინტრიგასა და დემაგოგიას ხომ არ ჰგავს?

ძველი სახელმძღვანელოების ასე „ვაჟკაცურად" გაკრიტიკება დღეს არ უნდა იყოს დარბაისლური. შესაძლოა ალ. კუჭუხიძეს ჰგონია, რომ ამ სახელმძღვანელოების ნაკლი მან პირველმა შეამჩნია. არა, პოლიტეკონომების დიდი ნაწილი ამას გარდაქმნამდეც ამჩნევდა და შემდეგაც. მაგრამ რადგან თავის დროზე არ ითქვა სიმართლე, ახლა ამის შესახებ ლაპარაკი არაფრის მომტანია.

ბატონი ალექსანდრე სტატიის შესავალში წერს: „სტუდენტთა გულისწყრომის მართებულობის განსჯის მიზნით ერთხელ კიდევ ხელთ ავიღე პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოები და „პერესტროიკის" შუქზე წავიკითხე. მათ შორის რამდენიმე წავიკითხე იმ ვარაუდით, რომ აქამდე მოქმედი პროგრამით პოლიტიკური ეკონომიის კურსის სწავლაზე უარის მთქმელ სტუდენტთა მოთხოვნა მცდარიაო, მეთქვა საჯაროდ... მაგრამ ამის დასაბუთების მცდელობამ საწინააღმდეგო მოსაზრებამდე მიმიყვანა..."

საკითხავია, რამდენჯერ წაიკითხა ალ. კუჭუხიძემ „პერესტროიკის" შუქზე პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოები? ივლისამდე და მას შემდეგ? გაზეთ „თბილისის" 1989 წლის 17 ივლისის ნომერში ხომ თითქმის იგივეს წერდა, რასაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" 1990 წლის 8 თებერვლის ნომერში? ალბათ ივლისის შემდეგ კიდევ გადაამოწმა თავი? კი მაგრამ, რატომ იტვირთავდა თავს დიდი ხნის წინ გამოცემული პოლიტეკონომიის სახელმძღვანელოების რამდენჯერმე წაკითხვით? თუ მართლა უნდოდა სიმართლის თქმა, ივლისის მერე მაინც წაეკითხა ახალი, უკვე რამდენჯერმე გადამუშავებული პოლიტეკონომიის პროგრამები, სახელმძღვანელო, წიგნები, სტატიები და ა. შ. რატომ მოაქვს მას ასე მიამიტად თავი? თითქოს საჯაროდ უნდოდა ეთქვა აქამდე მოქმედი პროგრამით პოლიტიკური ეკონომიის კურსის სწავლაზე უარისმთქმელ სტუდენტებისათვის: არა ხართ სწორი, მთელი მონდომებით ისწავლეთ ეს საგანიო! ამას ვინ დაუჯერებს? მისი მიზანი ძალზე ადვილი გასაგებია, რაზედაც უკვე აღინიშნა ზემოთ.

ახლა იმ შეცდომებისა და გაუგებრობების შესახებ, რომლებიც პროფესორ ალ. კუჭუხიძის სტატიაშია დაშვებული.

ეხება რა პოლიტიკურ ეკონომიას, როგორც მეცნიერულ დისციპლინას, პროფესორი კუჭუხიძე აღნიშნავს: „თუ საზოგადოებრივი მეცნიერების ეს დარგი — პოლიტიკური ეკონომია მართლაც არის მეცნიერული დისციპლინა, მაშინ იგი, ისევე როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგები, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია და სხვა, უნდა იყოს, ჯერ ერთი, საყოველთაო, მეორე, სინამდვილის მოვლენების პროცესების, არსებისა და კანონების შესახებ ობიექტური ჭეშმარიტი ცოდნის სისტემატიზაციის აბსტრაქტულ-ლოგიკური ფორმით..."

# რა და როგორ ვასწავლოთ

## ვთქვათ მუდამ!

ამ ვრცელი და ძნელად გასაგები წინადადებიდან შეიძლება შემდეგი ორი დასკვნის გაკეთება: პირველი — პროფესორი კუჭუხიძე ეჭვობს, არის თუ არა პოლიტიკური ეკონომია მეცნიერული დისციპლინა (მოდი და ნუ გაიცინებ). პირველი მეცნიერული წარმოდგენანი ეკონომიკის შესახებ, ერთიანი განუყოფელი მეცნიერების ფარგლებში, ჩაისახა შორეულ წარსულში. მრავალი ეკონომიკური კატეგორია იყო მეცნიერთა კვლევის საგანი ძველ საბერძნეთში (ქსენოფონტე, პლატონი, არისტოტელე) და ძველ რომში (კატონი, ვარონი), ასევე ინდოეთსა და ჩინეთში. პოლიტიკური ეკონომია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, აღმოცენდა კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ პერიოდში, მეცნიერების ეს დარგი საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში და დღესაც აქტიურად მიმდინარეობს პოლიტეკონომიური კვლევა.

მეორე — პროფესორი ალ. კუჭუხიძე მოითხოვს, რომ პოლიტიკური ეკონომია მსგავსად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა იყოს საყოველთაო. როგორ უნდა გავიგოთ მეცნიერების საყოველთაობა? ალბათ ისე, რომ ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციას ჰქონდეს ერთი პოლიტიკური ეკონომია მსგავსად ფიზიკისა, მათემატიკისა და სხვ. პოლიტიკური ეკონომია მართლაც ერთიანია, ერთიანი საგნითა და ერთიანი მეთოდით. მაგრამ ის საზოგადოებრივი მეცნიერებაა და გააჩნია თავისი სპეციფიკა. პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის წარმოებით ურთიერთობებს და მის ეკონომიკურ კანონებს, რომელთა მოქმედება და შედეგები იცვლება საკუთრების ფორმების ცვლასთან ერთად. ამიტომ არ შეიძლება მეცნიერების ამ ორი ჯგუფის დარგის მიმართ ერთი და იგივე მოთხოვნის წაყენება.

პროფესორ ალ. კუჭუხიძეს თავისებურად ესმის საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. იგი აღნიშნავს: „თუ პოლიტიკური ეკონომია, — როგორც ეს პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოში წერია, — შეისწავლის წარმოებით ურთიერთობებს საწარმოო ძალებთან, როგორც მათი განვითარების ფორმასთან მჭიდრო კავშირში...“ თურმე საწარმოო ძალები წარმოებითი ურთიერთობების განვითარების ფორმა ყოფილა. საწინააღმდეგო აზრისაა ფილოსოფიური ენციკლოპედიის ხუთტომეული. იქ ვკითხულობთ: „საწარმოო ძალების განვითარების ფორმას წარმოადგენს წარმოებითი ურთიერთობები“. ეს ცნობილი დებულება ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის ყველაზე მოკლე სახელმძღვანელოშიცაა აღნიშნული, მაგრამ ჩვენ პროფესორის პრესტიჟს ვეცით პატივი და საკმაოდ სოლიდური გამოცემა მოვიშველიეთ ამ საკითხის გასარკვევად.

პროფესორი კუჭუხიძე თავს „პოლიტიკური ეკონომიის თეორიაში ჩახედულ ადამიანად“ თვლის, მაგრამ თავისი შეხედულების დასაბუთებას იგი „ღრმა რწმენის“ გამოთქმით ფიქრობს. ბატონო ალექსანდრე, ღრმა რწმენის გამოთქმა და ფიცი მეცნიერებისათვის ვერაფერი არგუმენტია. არგუმენტების ანალიზის გარეშე კი დასკვნების გაკეთება მეცნიერებაში მიუღებელია.

სტატიაში აღნიშნულია: „მატერიალური დოვლათის ზრდის საფუძველთა საფუძველია ადამიანის შრომა. ესე იგი შრომის ნაყოფიერება“. „პოლიტიკური ეკონომიის თეორიაში ჩახედულ“ კაცს არ ეპატიება ასეთი უხეშსიტყვობა, თორემ ამ ცნებების არევა პოლიტიკური ეკონომიის თეორიაში ჩაუხედავი ადამიანისათვის დიდი ცოდვა არ არის. შრომა ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობაა, შრომის ნაყოფიერება კი — შრომის ხარჯვის ეფექტიანობა. მატერიალური დოვლათის ზრდის საფუძველი შრომასთან ერთად არის ბუნებაც. „შრომა, აღნიშნავს ფ. ენგელსი, არის წყარო ყოველი სიმდიდრისა, ამბობენ პოლიტიკური ეკონომისტები. ის მართლაც ასეთია ბუნებასთან ერთად, რომელიც მას მასალას აწვდის, ხოლო შრომა ამ მასალას სიმდიდრედ აქცევს“. აქაც იგივე უნდა გავიმეოროთ: ასეთი წვრილმანებისადმი ყურადღების მიქცევაც კი არ ღირს, მაგრამ ფ. ენგელსიც ხომ პოლიტიკური ეკონომიის თეორიაში ჩახედული ადამიანია და რატომ მიაქცია მან ყურადღება?

სტატიაში ვკითხულობთ: „კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია წარმოების საშუალებათა წარმოების და მოხმარების საგნების წარმოებას შორის არასწორი თანაფარდობა, სოციალიზმისათვის კი — წარმოების საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოებას შორის სწორი თანაფარდობაო, ვითომ ყოველივე ეს მართალია? და თუ მართალია, მაშინ, როგორ მოხდა ის, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მშენებლობა და თითქმის სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგი სამარცხვინოდ ჩამორჩა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, იაპონიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებს?“ ბატონო ალექსანდრე, სწორი პროპორციები დარგებს შორის თავიდან აიცილებს საზოგადოებას დისპროპორციებს, ის წინსვლის აუცილებელი პირობაა, მაგრამ წინსვლას განსაზღვრავს განვითარების ტემპები. პროპორციები და ტემპები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებებია. ასეა განმარტებული ეკონომიკური პროფილის მრავალ სახელმძღვანელოში.

სტატიაში მითითებულია: „საწარმოთა საქონელს ხომ იქაც და აქაც ორი თვისება აქვს: საცვლელი ღირებულება და ღირებულება“. საყოველთაოდ და დიდი ხანია ცნობილია, რომ საქონლის ეს ორი მხარეა არა საცვლელი ღირებულება და ღირებულება, არამედ სახმარი ღირებულება და ღირებულება. საცვლელი ღირებულება და ღირებულება კი, თითქმის იდენტური ცნებებია. საცვლელი ღირებულება ღირებულების გამოვლენის ფორმაა მხოლოდ.

სტატიაში ვკითხულობთ: „სოციალისტურ საზოგადოებაშიც და კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც ფული ხომ ლითონის ან ქაღალდის ნიშანია, რომელიც წარმოადგენს ღირებულების საზომს საქონლის ყიდვა-გაყიდვისას“. საყოველთაოდ და დიდი ხანია ცნობილია, რომ ქაღალდის ფული არ ზომავს საქონლის ღირებულებას. მას ზომავს ოქრო. საქონლის საცვლელი ღირებულებისა და ღირებულების, ფულის, როგორც ღირებულების საზომის საკითხი მითითებულია პოლიტიკური ეკონომიის იმ სახელმძღვანელოებშიც კი, რომელიც დაწერილია პროფტექნიკური სკოლის მოსწავლეებისათვის.

სტატიაში აღნიშნულია: „ეს (ლაპარაკია მსოფლიო სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების შედარებაზე გ. გ. და თ. დ.) და მთელი რიგი სხვა არასოციალისტური ქვეყნების გამქირდავ და დამაკნინებელ ფრაზებზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს ხომ კაპიტალისტური ქვეყნების შინაგან საქმეებში ჩარევას, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მიმართულებათა დამოუკიდებლად გადაწყვეტაში ხელის ფათურს, კაპიტალისტური ქვეყნებისადმი უპატივცემლობას, კიდევ მეტი, არა მარტო იდეოლოგიურ, არამედ ფაქტობრივად ყოფნა-არყოფნის გადამწყვეტი ომის გამოცხადებას ნიშნავს?“ სტატიის ამ ადგილის კითხვისას დიდი სურვილი გვაქვს გავიგოთ და ეგება პროფესორმა ალ. კუჭუხიძემ გვითხრას მსოფლიო დიპლომატიის ისტორიიდან თუნდაც ერთი ფაქტი, როდესაც სახელმწიფოში კარგად თუ ცუდად გაშუქებული საკითხის გამო დაეწყოთ ომი? ასეთი ფაქტი არ არსებობს. მაშ ვის ესაჭიროება ჭიქაში ქარიშხლის აზოზოქრება?

ჩვენი ეს შენიშვნები ეხება მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული, ერთმნიშვნელიანი დებულებების დამახინჯებას. განგებ არ შევეხეთ სხვა საკამათო საკითხებს, რადგანაც დავზოგეთ მკითხველის დრო და გაზეთის ფართიც.

რას არ იფიქრებს ადამიანი? მაგალითად, ბატონ ალექსანდრეს ასეთი სტატიის გამოქვეყნება იმიტომ ხომ არ დასჭირდა, აეჭრელებინა გაზეთები მისი სახელისა და გვარის ხსენებით, იმ მიზნით, რომ საზოგადოებისათვის ცნობილი გამხდარიყო მისი პიროვნება. შესაძლოა ეს ამ მიზნით არ იყო გაკეთებული, მაგრამ ცხოვრებაში არიან ადამიანები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ფართო საზოგადოებას გააცნონ თავი, როგორც „სიმართლისათვის მებრძოლი“ პიროვნება.

ბატონო პროფესორო, თქვენ რომ ამ საგნის სპეციალისტი იყოთ, გული შეგტკიოდეთ მისი სწავლების წარსულსა და მომავალზე, გინდოდეთ „ყალბად ნასწავლის“ გამო თქვენი ცოდვების მონანიება და ახლებურად სწავლება, მაშინ თქვენდამი უდიდესი მადლიერების გრძნობით გავიმსჭვალებოდით. მაგრამ თქვენ ამ მისიის შესრულება არ შეგიძლიათ. რადგან თქვენ სიმართლის თქმის სურვილითა ხართ აღგზნებული, მაგრამ პოლიტიკურ ეკონომიაში თქვენი გარჯა-მონდომება „სიზიფოსის შრომაა“. სჯობდა თქვენი ნიჭი და უნარი გამოგეყენებინათ „საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკის“ პრობლემების დამუშავებისათვის.

თანამედროვე ეპოქა ურთულესი შინაარსისაა: ეს არის ძველისა და ახლის ჭიდილის გარკვეულად გარდამავალი პერიოდი. დღეს მრავალი ეკონომიკური თეორია მოძველდა ან მიუღებელია. მოძველდა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოებიც. საჭიროა ახლის, არსებული რეალობისა და მომავლის ამსახველი სასწავლო ლიტერატურის შექმნა. ამას ესაჭიროება გარკვეული დრო. ახალ, უკეთეს სახელმძღვანელოს აუცილებლად შექმნიან პოლიტეკონომები. მანამდე კი უნდა აღიკვეთოს სხვათა მიერ ამ საგნის დისკრედიტირება და განქიქება. ჯერჯერობით კი ის შევძელით, რომ ვთარგმნეთ ფ. მედვედევის რედაქციით გამოცემული პოლიტეკონომიის სახელმძღვანელო.

**ბიძო ბოშაძე,**
**საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, პროფესორი.**

**თენგიზ დემეტრაშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის № 1 პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი.**

**ავტორების თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ფონდში.**

# მართლაც ვთქვათ სიმართლე

## ფრაგმენტები სტატიიდან

...გარდა ამისა პროფესორი ა. კუჭუხიძე უარყოფს საერთოდ პოლიტიკურ ეკონომიას, როგორც მეცნიერებას, რადგანაც იმ მოთხოვნებს, რომელთაც ის ჩამოთვლის, ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა კავშირში დღემდე გამოცემული ვერც ერთი სახელმძღვანელო.

არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ პოლიტეკონომია, როგორც მეცნიერება და სახელმძღვანელო ამ მეცნიერებაში. პოლიტეკონომია, როგორც მეცნიერება ობიექტურად არსებობს და ჩვენ, ადამიანებს, გვინდა თუ არ გვინდა, ის მაინც იარსებებს. სახელმძღვანელოს კი ქმნიან ცალკეული ადამიანები და ის შეიძლება სწორიც იყოს და არასწორიც, მეცნიერულიც და პროპაგანდისტულიც. როგორც ა. კუჭუხიძის მსჯელობიდან ჩანს, პოლიტეკონომიის სახელმძღვანელო ყოფილა მთავარი მიზეზი იმისა, რომ დღეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა უკიდურესად ჩამორჩება. სახელმძღვანელო კი არა, ეკონომიკური მეცნიერება დიდ ვალში საზოგადოების წინაშე. ის ცხოვრებასთან მჭიდროდ არ იყო დაკავშირებული და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ავტორები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ოფიციალურ დოგმებსა და კანონებს (ასე იყო ადრეც მეცნიერებაში), დევნასა და დამუშავებას განიცდიდნენ.

სტატიაში ბევრი სხვა არაზუსტი დებულება და ფორმულირება გვხვდება, რომელთა აქ ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. მაგრამ მებადება ერთი კითხვა: საჭირო იყო თუ არა ამ სტატიის გამოქვეყნება ანდა რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას საერთოდ საზოგადოებისათვის და კერძოდ კი სტუდენტი ახალგაზრდობისათვის? ხომ ყველასათვის გასაგებია ის დეფორმაციები, ნეგატიური მოვლენები, მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებანი და, თუ გნებავთ, ბოროტებანიც, რაც განვლილი 70 წლის განმავლობაში განხორციელდა.

წარსულის კრიტიკა და მასზე სიმართლის თქმა ადვილია, მაგრამ საქმე ისაა, რა გავაკეთოთ მომავალში, რა ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ, როგორ გამოვასწოროთ მდგომარეობა. ამიტომ საჭიროა ყველამ ერთად ვიფიქროთ, დავწეროთ სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, სადაც ახლებურად იქნება გააზრებული პოლიტეკონომიის ცალკეული დებულებანი და გათვალისწინებული იქნება თანამედროვე პირობებში მიმდინარე მოვლენები და პროცესები. როგორ გარდავქმნათ სწავლების პროცესი, რომ ის რეალურად შეესაბამებოდეს დღევანდელ მოთხოვნებს—აი, ეს არის ახლა მთავარი და არა ის, რომ ჩვენს ისედაც გულგატეხილ სტუდენტ ახალგაზრდობას მოვუწოდოთ, არ ისწავლონ ისეთი აუცილებელი და ცხოვრებაში საჭირო მეცნიერება, როგორიც პოლიტიკური ეკონომიაა.

მე ვერ ვხედავ იმ სულიერ სიმდიდრეზე უარის თქმის გონივრულ საფუძველს, რომელსაც პოლიტეკონომია შეიცავს. ხოლო ის, რომ მას ამახინჯებდნენ, ვულგარულ, პრიმიტიულ სახეს აძლევდნენ, მცდარად იყენებდნენ, ვერ იქნება მასზე უარის თქმის საფუძველი.

პოლიტიკურ ეკონომიას ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა პიროვნების კულტის და უძრაობის წლებში სოციალიზმის დეფორმაციისათვის, ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის მცდარი მოქმედებისათვის. პოლიტიკური ეკონომია საჭირო და აუცილებელია ყველა განათლებული ადამიანისათვის.

**ვალერიან რეხვიაშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი.**

# წერილი „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქტორს

**„ფრთხილად, პროვოკაციაა ანუ ყველა ერთნაირად ვებრძოლოთ ჩვენს საერთო მტერს“.**

ძვირფასო რედაქციავ! ჩვენ საქართველოში დავიბადეთ და გავიზარდეთ, ეროვნებით აზერბაიჯანელები ვართ, მიწით კი საქართველოს შვილები. საქართველო ჩვენი სამშობლოცაა, „ჩვენ საქართველოს აზერბაიჯანელები ვართ“. ჩვენს მშობლიურ აზერბაიჯანულ ენასთან ერთად თავისუფლად ვფლობთ ქართულ ენას, ენის ცოდნა ხომ მეგობრობის ხიდიცაა. ქართველ კაცს ქართულად უნდა ველაპარაკოთ, ეს იგივე საქართველოს მიწის მადლიერება და ქართველი ხალხის პატივისცემაა. საქართველოს და ქართველი ხალხის მადლიერებას ვინც ვერ დააფასებს, ის ყველას მტერია, როგორც ქართველის, ასევე არაქართველის; აქ საუკუნეთა წინ ჩამოსული მრავალი ერის შვილმა იგრძნო ქართველი ხალხის არნახული სითბო. ამიტომაა, რომ საქართველო გახდა მათი საერთო სამშობლო. ქართველი ხალხის გვერდით ვმუშაობთ, ვშრომობთ, ჩვენთვის არავის არაფერი უწყენინებია არც სამუშაო უბანზე და არც საერთოდ ცხოვრებაში. ამიტომ ყველას ვალია თვალის ჩინივით გაუფრთხილდეს ქართველ ხალხს, მის ინტერესებს, ჩვენ მუდამ ქართველი ხალხის გვერდით უნდა ვიყოთ საქართველოს მომავალი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ჩვენი მტერი ის არის, ვინც ცდილობს, ეროვნული შუღლი გააღვივოს ჩვენს ურთიერთობაში. არ უნდა შევშინდეთ, ერთად უნდა ვიყოთ, ერთად უნდა ვებრძოლოთ ჩვენს საერთო მტერს, ცეცხლის ალში გავხვიოთ მტრის გონება. ვიცოდეთ, ქართველი ხალხის მტერი ჩვენი მტერიცაა. ვისაც მომავალში ქართველი ხალხის გვერდით ყოფნა და ცხოვრება გვინდა, გაბედულად და მტკიცედ ვთქვათ: ღვთისგან კურთხეულო და მადლიანო ქართველო ხალხო, მუდამ თქვენთან ვიქნებით; ჩვენ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, წინააღმდეგი ვართ საქართველოში ინტერფრონტის შექმნისა. მიგვაჩნია, რომ ეს ახალი პროვოკაციაა, როგორც ქართველი, ასევე აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ. 9 აპრილისა და 20 იანვრის სისხლიანი აქციის შემდეგ, ჩვენ თქვენთან ვართ, ქართველო ძმებო, მოყვარემ იცოდეს, რომ ძალა ერთობაშია, მტერმა კი იცოდეს — ქართველი ხალხი მარტო არ არის, მუდამ ქართველი ხალხის გვერდით ვიქნებით საერთო მტერთან ბრძოლაში საქართველოში მცხოვრებ არაქართველთა შორის. ჩვენი ოცნებაცაა საქართველოს თავისუფლება. საქართველოში მცხოვრებ ყველა აზერბაიჯანელს მივმართავთ აიმაღლონ ხმა საქართველოში ინტერფრონტის შექმნის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, ოთხმოცზე მეტი ეროვნების საერთო სამშობლოს.

**ადილფაშა როსტომოღლი,**
**სად. თბილისის შ/ს. განყოფილების ათმეთაური.**

**ზეინორ ნურიევი, მაგარამ ჯაფაროვი, ზიათხან ახმედოვი, მახმუდ მამედოვი.**
**გარდაბნის რაიონის სოფლების — ყარაჯალის, გარათაქლოს და ალთაქლოს აზერბაიჯანული საშუალო სკოლების პედაგოგ-მასწავლებლები.**

**ელგურს შამილოვი,**
**საქსოფტექნიკის ინჟინერი.**

**გულნარა რუსტამოვა,**
**სად. თბილისის სატვირთოს ინფორმატორი.**

**ალმაზ იდნოევი,**
**ვაჭრობის მუშაკი.**

**ხიმა მამედოვა,**
**საკავშირო სპეც-ცენტრის მედდა.**

**აბას ყურბანოვი,**
**ქ. თბილისის მსუბუქი სატაქსომოტორო საწარმოს მთავარი მექანიკოსი.**

**ჰონორარი გთხოვთ გადარიცხოთ 9 აპრილის მემორიალის ასაგებ ფონდში.**

(წერილი საგაზეთო ფართის უქონლობის გამო დაგვიანებით იბეჭდება).

# ალტერნატიული ფურცელი

## საქართველოს ეროვნული ფორუმისა და საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის

# განცხადება

## საქართველოს ეროვნული ყრილობის შესახებ

1990 წლის 15 მაისს, სამშაბათს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში (რუსთაველის გამზირი № 29) გაიმართა საქართველოს ეროვნული ფორუმისა და საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის მეორე სხდომა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ:

**1. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია**
**2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია**
**3. საქართველოს დემოკრატიული პარტია**
**4. საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი**
**5. საქართველოს ეროვნულ-სოციალური პარტია**
**6. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინების პარტია**
**7. საქართველოს რესპუბლიკური პარტია**
**8. საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია**
**9. საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია**
**10. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ლიგა**
**11. მეოთხე დასი**
**12. საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული /ახალგაზრდული ასოციაცია**
**13. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება**
**14. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია**
**15. თბილისის პოლიტიკური კლუბი**
**16. საქართველოს ინვალიდთა ასოციაცია**
**17. საქართველოს „მხედრიონი"**
**18. ხადრონშო „ლემი"**
**19. საქართველოს თავისუფალ მეტალურგთა კავშირი**
**20. წმიდა დავით აღმაშენებლის საზოგადოება**
**21 ასოციაცია „ჯავახეთი"**
**22. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება**
**23. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია**
**24. ოსური ასოციაცია „სიმართლე"**
**25. დავით გარეჯელის საზოგადოება**
**26. თავისუფალი პროფკავშირები**
**27. საქართველოს მხატვართა კავშირი**

აღნიშნული პარტიების, ორგანიზაციებისა და კავშირების გარდა მიმდინარე სხდომაში მონაწილეობდნენ მეცნიერებათა აკადემიის, მწერალთა კავშირისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს ეროვნული ფორუმისა და საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის მეორე სხდომამ განიხილა და იმსჯელა საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობის დღის წესრიგის შესახებ, რომელიც დალაგდა შემდეგი თანმიმდევრობით:

1). საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შეფასება ისტორიული და პოლიტიკური თვალსაზრისით.

2). დამოუკიდებლობის განსაზღვრა საქართველოში ე. წ. სსრ-ის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის არსებობისა და საქართველოს ტერიტორიაზე ე. წ. სსრკ-ს სუვერენიტეტის, კანონმდებლობის, სახელმწიფო წყობილებისა და შეიარაღებული ძალების ყოფნისა და გავრცელების მიმართ.

3. საქართველოს მომავალი ეროვნული კონგრესის ფუნქციების, პრინციპებისა და სტრუქტურების ზოგადი განსაზღვრა და საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონის მიღება და დამტკიცება.

4. საქართველოს ეროვნული კონგრესის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა და ეროვნული კონგრესის არჩევნების დღის გამოცხადება.

5. კონკრეტულ თეზისებად ჩამოყალიბებული თანმიმდევრული პოლიტიკური კონცეფციის შემუშავება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების, სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ.

**საქართველოს ეროვნული ყრილობა გაიხსნება ოთხშაბათს, 1990 წლის 23 მაისს, დილის 10 საათზე სპორტის სასახლეში.** მისი მუშაობა გაგრძელდება სამი დღის განმავლობაში.

საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა და მასში აქტიური მონაწილეობის მიღება ნაკარნახევია საქართველოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნული ინტერესებიდან მომდინარე აუცილებლობით. ეროვნულ-განმათავისუფლებელ პოლიტიკურ მოძრაობაში დაგროვილი პრობლემები გადაუდებელ გადაწყვეტას საჭიროებს, რისი განხორციელებაც შესაძლებელი გახდება ისეთ დიდ სახალხო ფორუმზე, როგორიც იქნება საქართველოს ეროვნული ყრილობა. ამიტომ, საქართველოს ეროვნული ფორუმი და საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრი მოუწოდებს საქართველოში არსებულ უკლებლივ ყველა პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციას, საზოგადოებრივ გაერთიანებას, შემოქმედებით გაერთიანებას, მნიშვნელოვან საწარმოო გაერთიანებას, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას, მეცნიერებათა აკადემიას, საპარტიულ საზოგადოებას, საქართველოს 69-ვე რაიონს, მინისტრთა საბჭოს სისტემაში შემავალ სამინისტროებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში. ყრილობაზე დასწრება ყოველი ორგანიზაციის, გაერთიანების, დაწესებულებისა თუ რაიონისათვის დაშვებულია წარმომადგენლობითი პრინციპით. ყრილობის მონაწილე დელეგატს უნდა გააჩნდეს სპეციალური მანდატი, რომლის არქონის შემთხვევაში იგი არ დაიშვება ყრილობაზე. მანდატების გაცემა იწარმოებს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში (რუსთაველის გამზირი № 29) 1990 წლის 15 მაისიდან 22 მაისამდე.

საქართველოს ეროვნული ფორუმის და საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის გადაწყვეტილებით, აუცილებელია საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ და სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის ქართულმა კორპუსმა სრული შემადგენლობით.

საქართველოს ეროვნული ყრილობის მთელი მიმდინარეობა პირდაპირი ტრანსლაციით უნდა გააშუქოს საქართველოს ტელევიზიამ.

---

## საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის

# განცხადება

## ეროვნული კონგრესის გზით ეროვნული თანხმობისაკენ
## ეროვნული თანხმობის გზით თავისუფლებისაკენ

ვგრძნობთ რა იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელსაც ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, ყოველ ქართველს, საქართველოს ყველა მცხოვრებს აკისრებს ჩვენი უაღრესად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქა, ჩვენ, საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრში გაერთიანებული ორგანიზაციები და საზოგადოებანი ვაცხადებთ: დრო აღარ ითმენს! ქართველი ხალხი დაიღალა უმოქმედობით. ნელ-ნელა ახალ ფორმას იძენს პოლიტიკური აპათია — უმძიმესი სენი, რომელიც ტოტალიტარულმა სისტემამ ჩვენ თავს მოგვახვია.

დამოუკიდებელი საქართველო ჩვენ არ წარმოგვიდგენია თავისუფალი საზოგადოების გარეშე — დემოკრატიის გარეშე. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დამოუკიდებლობის მიღწევის გზებიც დემოკრატიას უნდა ეფუძნებოდეს. სწორედ დემოკრატიის მექანიზმად წარმოგვიდგენია ჩვენ საქართველოს ეროვნული კონგრესი.

დღევანდელ საქართველოში არც ერთ ორგანიზაციას, ჯგუფსა თუ პიროვნებას არა აქვს უფლება გამოაცხადოს პრეტენზია იმაზე, რომ ის გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას, მის აზრს, - ვიმეორებთ, — არც ერთს. ასეთი უფლება არ გააჩნია არც სახელმწიფოებრივ და არც პოლიტიკურ ორგანიზაციებს. ქართველ ხალხს მხოლოდ ერთი უფლება ჯერ არავისთვის მიუნიჭებია. საქართველოს ეროვნული კონგრესი იქნება სწორედ ის ორგანო, რომელსაც დემოკრატიული, საყოველთაო, პირდაპირი და ფარული არჩევნების (კენჭისყრის) მეშვეობით გადაეცემა ქართველი ერისაგან ნდობის მანდატი მისი ნების გამოხატვაზე.

საქართველოს ეროვნული კონგრესი, როგორც ქართველი ერისა და საქართველოს მოსახლეობის ნების ერთადერთი გამომხატველი, უფლებამოსილი იქნება აღძრას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი საერთაშორისო სამართლის წინაშე. ასეთი ორგანოს არჩევის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც დემოკრატიის წინააღმდეგია, ვისაც სურს პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის მონოპოლურად წარმართვა, ჩვენ საზოგადოებაში ახალი, სახეცვლილი, ლოზუნგებშეცვლილი, მაგრამ არსით ძველი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი და გამოცდილი დიქტატურის დამყარება.

ეროვნული კონგრესი იქნება ქართველი ერის ნების გამომხატველი. ეს ნიშნავს, რომ კონგრესის მეშვეობით დეკლარირებული იქნება ქართველი ერისა და საქართველოს მთელი მოსახლეობის საერთო ნება. საოკუპაციო რეჟიმის პირობებში, საქართველოს დამოუკიდებლობის რეალურ აღდგენამდე საქართველოს ეროვნულ კონგრესს არ ექნება ხელისუფლების ფუნქცია. ეს ჩვენი ერთიანი და ურყევი აზრია.

საქართველო ანექსირებული, დაპყრობილი ქვეყანაა. დაპყრობილი ქვეყნის ხალხს, რასაკვირველია, აქვს ნება (სწორედ მისი გამომხატველი იქნება კონგრესი), მაგრამ ხელისუფლება დაპყრობილი ქვეყნის ხალხს, საქართველოს მოსახლეობას არ გააჩნია. ხელისუფლება დაპყრობილ ქვეყანაში ეკუთვნის დამპყრობელს, რომელიც მას ახორციელებს შიშველ ძალაზე დაყრდნობით. ამ შიშველ ძალასთან შებრძოლება უშუალოდ მხოლოდ ძალითვე შეიძლება. ამას შეიარაღებული აჯანყება ჰქვია.

ასეთი აჯანყების, შეიარაღებული ბრძოლის აბსოლუტური უაზრობა დღეს ყველას ესმის. ამიტომაც სრულ ხელისუფლებაზე პრეტენზიის განცხადებაც ასეთივე უაზრობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ამაში ჩვენი აზრი საერთო და ურყევია, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში არსებულ ფაქტიური ხელისუფლების სტრუქტურებთან დამოკიდებულების საკითხშიც იგი აბსოლუტურად იდენტურია. საქართველოს ეროვნული კონგრესის საკოორდინაციო ცენტრში გაერთიანებულ ზოგიერთ ორგანიზაციას მიაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოში დე-ფაქტოდ არსებული ხელისუფლების სტრუქტურების ეფექტური გამოყენება ჩვენი ბრძოლის გზაზე; ამ ეტაპზე უნდა შეიქმნას ოფიციალური უზენაესი წარმომადგენლობითი ორგანოც, რომელიც დაკომპლექტებული იქნება იმპერიისადმი ოპოზიციური ძალებით. მართალია, საქართველოში დე-ფაქტოდ არსებული ხელისუფლების სტრუქტურები არ ფლობენ სრულად ხელისუფლებას, მაგრამ შესაძლებელია ხელისუფლების საშუალებათა მნიშვნელოვანი ნაწილის ქართველი ერის ინტერესების შესაბამისად ამოქმედება. სხვათა შორის, ამ აზრს არავინ უარყოფს. მაგრამ ერთნი თვლიან, რომ ეს უნდა მოხდეს ხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონტროლისა და დაწოლის შედეგად (მაგალითად, ეროვნულ ფორუმში გაერთიანებული ორგანიზაციები), ხოლო მეორენი — რომ ასეთი დაწოლის პარალელურად ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ხელისუფლების არჩევითი ორგანოების ფორმირებაში. თუ კარგად დავუკვირდებით, სინამდვილეში ეს ორი თვალსაზრისი ერთმანეთს არ გამორიცხავს — ორივე შემთხვევაში ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოში დე-ფაქტოდ არსებულმა ხელისუფლების სტრუქტურებმა თავისი შესაძლებლობების შესაბამისად ცხოვრებაში უნდა გაატარონ ქართველი ხალხის ნება. მაგრამ ეს ნება გამოხატული უნდა იყოს — უნდა შეიქმნას ქართველი ხალხის ნების გამომხატველი წარმომადგენლობითი კრება — საქართველოს ეროვნული კონგრესი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღეს ერის კონსოლიდაცია, საქართველოს მთელი მოსახლეობის შეკავშირება ჯანსაღ ზნეობრივ საწყისებზე შეუძლია ეროვნულ კონგრესს. მისი მთავარი ამოცანაა, რომ გარდამავალ ისტორიულ ეპოქაში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის პერიოდში გამორიცხოს ქაოსი და მწვავე კონფრონტაცია საერთო-სახალხო ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, და რაც მთავარია, ცალკეული ჯგუფებისა თუ პიროვნებების მიერ პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის მონოპოლიზაცია და ფაქტიურად უზურპაცია.

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევა იქნება გზა იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომელნიც გარეშე თუ შინაგანი დესტრუქციული და რეაქციული ძალების აქტიური მოქმედებით ხელს უშლიდნენ მრავალსაუკუნოვანი ეროვნული თანხმობის შენარჩუნებას, რომელიც საქართველოს არაქართველ მოსახლეობასა და ქართველებს შორის არსებობდა. გათიშე და იბატონეს პრინციპს წინ აღუდგება ეროვნული კონგრესი.

სიტყვა **ეროვნული** არ ნიშნავს იმას, რომ კონგრესის ამომრჩევლები ან წევრები უნდა იყვნენ წარმოშობით მხოლოდ ქართველები. ამ შემთხვევაში სიტყვა **ეროვნულს** ენიჭება ის მნიშვნელობა, რომლითაც იგი საერთაშორისო ცხოვრებაში იხმარება — ერი იხმარება სახელმწიფოს მოსახლეობის აღმნიშვნელად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციებში გაერთიანებულნი არიან არა ერები, არამედ სახელმწიფოები. აქედან გამომდინარე, ეროვნული კონგრესი უნდა იყოს საქართველოს მთელი მოსახლეობის ნების გამომხატველი ორგანო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კონგრესის არჩევნებში არაქართულმა მოსახლეობამ და იგი წარმოდგენილი უნდა იყოს აუცილებლად თავად კონგრესში.

ამავე დროს, ეს იქნება უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ქართველი ერისა და საქართველოს მთელი მოსახლეობისა, გადადგმული ვიწრო ეთნიკური თვითშეგნებიდან, ნამდვილად სახელმწიფოებრივი თვითშეგნებისაკენ. სახელმწიფოებრივი თვითშეგნების გარეშე კი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ფიქცია იქნება.

ჩვენ მივისწრაფვით ეროვნული თანხმობისაკენ მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენ არ გვსურს კონფრონტაცია არც ცალკეულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის და არც სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

ამისათვის უნდა ავირჩიოთ საქართველოს ეროვნული კონგრესი!

ჩვენ მივისწრაფვით დემოკრატიისაკენ.

ჩვენ არ გვსურს პოლიტიკის უზურპაცია და საზოგადოებრივი აზრის მონოპოლიზება ცალკეული ჯგუფებისა თუ ცალკეული პიროვნებების მიერ. არავის აქვს უფლება თვითნებურად ილაპარაკოს ქართველი ხალხის სახელით.

ქართველმა ხალხმა უნდა გასცეს ნდობის მანდატი.

ამისათვის უნდა ავირჩიოთ საქართველოს ეროვნული კონგრესი!

მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ ჩვენ მიზანს — თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოს!

ალტერნატიული ფურცელი

---

## რელიგიური თვითგამოცემიდან მისიონერულ საზოგადოებამდე

ლაზარეს აღდგინება IV

1988 წლის ზაფხულში [illegible]

საკუთარი ინფორმაცია

# ვიდოდეთ ძალითი ძალად

**„ნუ ვიყურებით სიტყვითა ხოლო, არამედ საქმითა ჭეშმარიტებითა",**
**„ვიდოდეთ ძალითი ძალად და გამოუჩნდეს ღმერთი ღმერთთა სიონს", (ფს. 83,8).**
**„ამას იტყვს უფალი ძალთა, ღმერთი ისრაელისა", (იერემია 7,3).**

**ქრისტეშობიდან მეოცე საუკუნემდე ქართველ ერის ისტორია აღსავსეა ბიბლიური ტრადიციათა სულისკვეთებით. [illegible] წლიანი სულიერი [illegible] წყვდიადშიც ერს ქომაგობდნენ და ეკლესიას დარაჯად ედგნენ [illegible]ულნი. გამოანათა იმედის სხივმა — 1987 წელს ეკლესიამ წმინდად შერაცხა წმინდა ილია მართალი, ერს ტყვეობიდან დაუბრუნდა წამებული მერაბ კოსტავა და მრავალი სიმართლისათვის [illegible] ადამიანი. „მადლი თქუენდა და მშვიდობა ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა".**

მრავალ წინააღმდეგობათა გადალახვის შემდგომ შეურაცხყოფილ ერის სალოცავებში აღდგა საღვთო ლიტურგია. სულ ახლახან დიდი ძალისხმევის შედეგად აღდგენილ იქნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიური დამოუკიდებლობა, გაუქმდა საეკლესიო ბეგარა, გაუქმდა რელიგიის საქმეთა [illegible]...

ყოველივე ეს საბოლოო ჯამში შესაძლებელი გახდა მამულიშვილთა თვითშეგნებით. „არ არსებობს სიყვარულის მომრევი ძალა"... (უწმინდესი და უნეტარესი ილია II), „და ასე ყოვლით, ვინაიდან იცით დრო, რამეთუ მოახლოვდა ძილისაგან ჩვენი გამოფხიზლების ჟამი. ვინაიდან ახლა უფრო ახლოა ჩვენთან ხსნა, ვიდრე მაშინ, როცა ვირწმუნეთ. ღამე მიიწურა და მოახლოვდა დღე. მაშ განვიშოროთ ბნელის საქმენი და შევიმოსოთ ნათლის საჭურველი. და როგორც დღისით ღირსეულად ვიაროთ... არა შურით და შურით" (რომ.13. II-13).

მაგრამ მტერს არ სძინავს, ის წინ აღუდგება ეროვნული თვითგამორკვევისადმი მზარდ სწრაფვას (რომლის სულიერად გამაერთიანებელი ძალა მხოლოდ ეკლესიას შესწევს). სულიერი დაყოფის, ეროვნული თანხმობის გამიჯვნის და მშვიდობიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი გულგრილად განწყობისა და უგულვებელყოფის ერთ-ერთ ძლიერ და მასშტაბურ მეთოდს წარმოადგენს ისეთი ეკუმენურ-კოსმოპოლიტური, ანუ ინტერრელიგიური [illegible] გავრცელება ჩვენს ქვეყანაში, როგორებიცაა: პროტესტანტიზმი, იეღოვიზმი და კრიშნაიზმი. მართლაც, არნახული სისწრაფით ვრცელდება ჩვენში ქვეყნისათვის სრულიად შეუფერებელი ეს ერეტიკული რელიგიურ-იდეოლოგიები... და სწორედ იმ დროს, როდესაც ესოდენ გვჭირდება საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მამა დამოძღვრა; იმ დროს, როდესაც ჩვენ კანონიკურად ნათარგმნი ქართული ბიბლია საკმაო რაოდენობით არ გაგვაჩნია და სრულიად არ გაგვაჩნია ბიბლიის წმ. მამათა კომენტარები, ისევე როგორც მათი სწავლებანი, მოსკოვში [illegible] და ინტერრელიგიის — [illegible] მიმდევრებმა საქართველოში გასავრცელებლად ჩამოიტანეს 190 000 კრიშნაიდული [illegible] მათ არც [illegible] მდინარეობები (თუ სხვა) ჩამორჩებიან.

ეკლესიისა და [illegible] სულიერი ერთობის მიმართ [illegible] შორის გამონაკლისს ახლადმოველნილი ქართველი „რასკოლნიკები" წარმოადგენენ. მაშინ, როდესაც ქაღალდის მძაფრი დეფიციტისა და არადამაკმაყოფილებელ სასტამბო სიმძლავრეთა გამო გრაფიკიდან სისტემატურად ვარდება საპატრიარქოს ჟურნალ „ჯვარი ვაზისას" გამოშვება, გაზეთ „მადლის" გამომცემამდე კი ბევრად ადრე მინისტრთა საბჭოს მიერ ქაღალდის ჯეროვნად უზრუნველყოფის შედეგად ამა წლის აპრილში მსწრაფლ გამოვიდა კიდევ ერთი რელიგიური გაზეთი „ღვთიური გზა", რომელიც ურჩობით, ეკლესიიდან განდგომილთ, ანუ ქართველ „რასკოლნიკ-სტაროობრიადელთა" საზოგადოებას ეკუთვნის, რას გვპირდება — რა მიზანს ისახავს და რა სულისკვეთებით გვმოძღვრავს ორგანიზაციის თავმჯდომარე — „რასკოლნიკი" მურთაზ ჩახავა და სულიერი ძმანი მისნი?

მ. ჩახავა გვასწავლის: „ბრძენი ვერ დაიბრმავებს თვალებს, საქართველო რუსეთზე ჯერჯერობით სამი ჭიპით არის მიკრული.

პირველი, ეს ის ჭიპია, რომელიც მტკიცედ შემორაგვავს პანისლამიზმის გასარღვევ ღობეს.

მეორე, ეს ის ჭიპია, რომლითაც ჯერ კიდევ უნდა იკვებოს საქართველომ, რამეთუ იოლად არ მიუშვან საბალახოდ.

მესამე, ეს ის ჭიპია, ანუ ის მთავარი სასიცოცხლო არტერიაა, რომელმაც მკვდრეთით უნდა აღადგინოს „ლაზარე", ე. ი. ხელდასხმაგაწყვეტილ საქართველოს აღუდგინოს რჯულიერი მღვდელმსახურება. ჭიპს ხომ მაშინ გადაჭრიან, როცა ბავშვი დედის საშოს მოწყდება.....

ასე რომ, როცა საქართველო დაიბრუნებს ჯერ სამოციქულო ხელდასხმას და შემდეგ ღვთის მორჩილებას, ე. ი. როცა ერი ღმერთის წინაშე სიწმინდით შეიმოსება"....

ალბათ კმარა!... ამპარტავნობითა და „ჩრდილოეთიდან მზის ამოყვანის" სენით შეპყრობილთ, მე, მრავალცოდვილი მონა ღვთისა სახელითა უფლისათა, ამჟამად მხოლოდ ორ საკითხს შევახსენებ...

ღვთის ურჩობით დაცემული ანტიქრისტეენი ამბაკუმის ცრუ განდიდებითა და მისი მიბაძვით, ხოლო მთელ რიგ სამასწლოვან და მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს განმანათლებელ, სასწაულთმოქმედ უფლისა მიერ ხელდასხმულ წმ. მამათა და ათეისტური დიქტატურის დეტალურად მამხილებელ — წინასწარმეტყველ: სერაფიმ საროველის, წმ. თეოფანე დაყუდებულის, წმ. ეპისკოპოს იგნატეს, წმ. იოანე კრონშტადტელის, სხვათა მრავალთა და ბოლოს წმ. ილია მართლის თითქოსდა არა სულიწმიდის მადლით მოღვაწეობისა და მათი წმინდანობის გმობითა და უარყოფით, თუ არ უწყიან საცამდე მიდიან, ის მაინც უნდა იცოდნენ, რომ „ყოველივე მიეტევის ძეთა კაცთა ცოდვანი და გმობანი, რაოდენიცა ჰგმობდნენ, ხოლო რომელმან თქუას გმობაჲ სულისა წმიდისათვის, არა აქუს მიტევებაჲ უკუნისამდე"... (მარკოზ 3.28) და „უცხო თესლი იგი სწყევდა დავითს კერპითა თვისითა... და ჰრქუა დავით უცხო თესლსა, შენ მოხვალ ჩემ ზედა მახვილითა, ჯაჭვითა და ფარითა, ხოლო მე მოვალ შენ ზედა სახელითა უფლისა ღვთისა საბაოთისათა, ღვთისა მწყობრისა ისრაელისა, რომელსაცა აყვედრე შენ დღეს...." (I მეფეთა 17. 43. 45). დავითიანთა შთამომავალი ქართველთ მეფენიც არ ივიწყებდნენ ერის, სჯულისა და მრწამსის მაწყევარ უცხო რჯულის გოლიათთა მიმართ ამგვარი სულისკვეთებით განწყობას, რაც სჯულის მიხედვით ესოდენ მართებულია.

ახლა განვიხილოთ როგორ მოძღვრავდა ერს თვით „ღვთიური გზის" რედაქტორი ზურაბ ნარმანია სულ ახლახანს 60000 ტირაჟიანი „ცისკრის" 1989 წლის № 2 შემვეობით:

„ამაოა მიტინგებზე და ყრილობებზე ჯვარცმისა და წმინდანთა ხატების დემონსტრაცია, რადგან „ბევრი მეტყვის მე დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით სასწაულებს? მაშინ მე განვუცხადებ მათ: მე არასოდეს გიცნობდით თქვენ, განმშორდით მოქმედნო უსჯულოებისა" (მათ. 8,22-23). ხალხის უსაფუძვლოდ და უკანონოდ ამაღელვებლებზე არის ნათქვამი: „ბრმა წინამძღოლებო, კოღოს სწურავთ, აქლემს კი შთანთქავთ" (მათ. 23,24). „ყოველი სულიერი დაემორჩილოს უმაღლეს ხელისუფლებათ: ვინაიდან არ არსებობს ხელისუფლება, თუ არა ღმერთისაგან, ხოლო არსებულნი ღმერთის მიერ არიან დაწესებულნი, ამიტომ ხელისუფლების მოწინააღმდეგე ეწინააღმდეგება ღმერთის ბრძანებას" (რომ. 13.1-2) და დასძენს — აი, ქრისტიანული სიმართლე, აი კრიტერიუმი იმ ფაქტების ასაწონ-დასაწონად, რომელთა მოწმენიც ვართ. სწორედ ღვთაებრივი სიმართლის, ღვთაებრივი ნებასურვილის უცოდინარობა ყოფილა ყოველთვის მასობრივი სისხლისღვრის მიზეზი. ხოლო არადანიშნულებისამებრ და არასწორად შეწირული სისხლი, მკვლელობის ტოლფასი დანაშაულია, რადგან ღვთის ბოძებული, ღვთის ნებისამებრ უნდა გამოვიყენოთ და გავხარჯოთ. „თუ ჩემს სიტყვებში დარჩებით, ეჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ. და შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ (იოანე 8.32)".

ხომ არ მოგვაგონებს ყოველივე ეს რელიგიის საქმეთა ინსტიტუტის საიდუმლო მითითებას „სწორი პოლიტიკური ორიენტაციისა და მოქალაქეობრივი პარტიული (თუ „პატრიოტული") სულისკვეთების გაღვივების შესახებ"?.

როგორც ცნობილია, ყოველი ჩვენთაგანისთვის 1988 წლის ნოემბრის მოშიმშილენი ქრისტიანული საქართველოს მომავლისათვის მშვიდობიანი სამართლებრივი ბრძოლით იყვნენ თავგადადებულნი, ხოლო 9 აპრილს კი ისინი ანტიქრისტეთა ჯალათური მოქმედების მსხვერპლნი გახდნენ.... „ვინც მისდევს რწმენის, მსხვერპლად შეწირული სიყვარულისა და თავდადების გზას, შეუძლია პავლე მოციქულის მსგავსად თქვას: „ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ჩემთანა ცხოველ არს ქრისტე". დიახ, ქრისტეა მასთან და სწორედ ამაში ჰპოვებს იგი აბსოლუტურ თავისუფლებას და ნეტარებას.

საქართველოს ეკლესია აღავლენს ლოცვებს უდანაშაულოდ მსხვერპლშეწირულთა სულის საოხად, რათა უფალმან დაამკვიდროს იგინი სავანესა მართალთასა"... (უწმინდესი და უნეტარესი ილია II, სააღდგომო ეპისტოლე 1989 წ.).

ბარბაროსი მკვლელები დღესაც დაუსჯელად დაპარპაშებენ და უფრო მეტიც... ალბათ ასე იქნება უფლის განკითხვის დღემდე, მაგრამ რას ნიშნავს ზ. ნარმანიას „განმარტება", „ხალხის უსაფუძვლოდ და უკანონოდ აღელვებაზე" და ა. შ.? წ. მოციქული ხომ ბრძანებს — „მონად ხარ ხმობილი? ნუ სწუხარ. მაგრამ თუ შეგიძლია მოიპოვო თავისუფლება, უმალვე ისარგებლე ამით" (I კო. 7,21). „ეძიებდით და ჰპოვოთ, ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ირეკდით და განგეღოს"... ამინ. შევეცდები ბოლშევიზმისა და ათეიზმის ცრუწინასწარმეტყველთა და ცრუმოძღვართა საწყმსოთათვის ერთგვარად მაინც გამოვასწორო „რასკოლნიკთა" შეცდომები...

ზ. ნარმანიას მიერ ზემოთ ფალსიფიცირების მიზნით ტენდენციურად მოყვანილი ბიბლიური ციტატა (რომ. 13,1-2) პროტესტანტთა მიერაა ნათარგმნი, სადაც „ხელისუფლების" ნაცვლად „ხელმწიფება" უნდა ეწეროს, მაგრამ უამისოდაც ღმერთის მიერ ნაკურთხი და მირონცხებული ხელმწიფენი და მთავარნი იგულისხმებიან, ციტირების გაგრძელებაც ამასვე მოწმობს. ვინაიდან მთავარნი კეთილის მოქმედთათვის კი არა, ბოროტმოქმედთათვის არიან საშიშნი. შენ გინდა, არ გეშინოდეს ხელმწიფებისა? კეთილი ჰქმენ და იქები მისგან. რადგან იგი ღმრთის მსახურია, შენდა სასიკეთოდ... ღმრთის მსახურია, რისხვით შურისმგებელი ბოროტმოქმედთა მიმართ. ამიტომ გმართებთ მორჩილება არა მარტო სასჯელის შიშით, არამედ სინიდისითაც, სწორედ ამიტომ იხდით ხარკს რომ ღმრთის მსახურნი არიან, ამ საქმეზე გადაგებულნი" (რომ. 13.3-6). ზ. ნარმანიამ კი ღვთივკურთხეულად და მირონცხებულად ათეიზმის მიმდევარი ხელისუფალნი გამოაცხადა და თავისი სინდისიც მათ დაუმორჩილა... შეიძლებოდა კიდევ გაგრძელება, მაგრამ ამჯერად ვგონებ ესეც საკმარისია.. „მტერი ჩვენს სარწმუნოებაში ხედავდა ოდითგან ძალას და სწორედ ამიტომ ებრძოდა მას" (უწმინდესი და უნეტარესი ილია II).

„რუსეთზე სამი ჭიპით მიკრულებმა" თითქმის გაკოტრებული იდეოლოგიით ეკლესიასთან ბრძოლას გარდაქმნის ხანაში „ძველმართლმადიდებლობა" ამჯობინეს.... ამით ხომ მაინც განსხვავდებიან ისინი პროტესტანტიზმის, იეღოვიზმის ან კრიშნაიზმისაგან?...

„გევედრებით, ძმანო, ერიდეთ განხეთქილებისა და საცდურის მოქმედთ, წინააღმდეგ მოძღვრებისა, რომლითაც განისწავლულხართ, და განეშორეთ მათ" (რომ 16.17.).

წმ. ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული კი წიგნში — „მართლმადიდებლობის, მასთან ბრძოლისა და განდგომილების შესახებ" ბრძანებს:

„აღვადგინოთ მართლმადიდებლობის სული, ვამხილოთ და გავილაშქროთ აზროვნების წინააღმდეგ, რომელიც სარწმუნოებას ეწინააღმდეგება. მხოლოდ ამგვარად შევძლებთ ქრისტეს მტრების მოგერიებას. უნდა დაიწყოთ თქვენ საეროებმა. თქვენში ვრცელდება ბოროტი მარცვალი და თქვენვე უნდა აღმოფხვრათ. თქვენ ყველაფერი სასულიერო ფენაზე გადმოგაქვთ. ნურაფერს დაიშურებთ სარწმუნოების დასაცავად — ოღონდაც თქვენ დაიწყეთ. და, ღმერთმა შეგვაძლებინოს — თქვენც, ჩვენც — გაერთიანება და ბრძოლა სარწმუნოების დასაცავად! — და, მართლმადიდებლობის ქომაგმა წმინდა ნიკოლოზ განმანათლებელმა გაასხივოსნოს ჩვენი გონება და განამზადოს ჩვენი გულები ღვთისა და ეკლესიის სადიდებლად.ეს არის არა მხოლოდ მარადიული ცხონების საწინდარი, არამედ ამქვეყნიური კეთილდღეობის პირობაც", რამეთუ „არა სიტყვითა არს სასუფეველი ღმრთისა, არამედ ძალითა" (I კორ. 4,20). „და სიტყუაჲ ჩემი და ქადაგებაჲ ჩემი არა რწმუნებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათაჲთა, არამედ გამოცხადებითა სულისაჲთა და ძალითა" (კორ. 2,4).

ამაოდ ცდილობენ ღვთის ურჩი ანტიქრისტეენი, მწიგნობარნი და ფარისეველნი ქართველი ერის მიერ დიდი ძალისხმევის შედეგად მიღებული რელიგიური თავისუფლების მეშვეობით ებრძოლონ ქართველი ერის სულიერ ძალასა და სიმართლეს — დედა ეკლესიას. მათ ხომ კარგად უწყოდნენ, რომ 9 აპრილისა და 13 ოქტომბრის მსხვერპლნი, ანუ მოყვასის — ერისა და ეკლესიისადმი თანადგომა-თავდადება და სიყვარული „ერესი და ურჯულოება" კი არა, მთავარი ქრისტიანული მცნება რომ არის: „ვისაც უყვარს მოყვასი, მან აღასრულა რჯული" (რომ 13,8). „იყუარებდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, უფროისი ამისა სიყუარული არავის აქუს, რაითა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის" (იოანე 15.12,13).

როგორც წმ. მეფე დავით წინასწარმეტყველი და ქართველთა მეფენი ჰბაძავდნენ და თვით უფალი იესო ქრისტეც შეიწყალებს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ლაზარე — საქართველო „ღვთიური გზის" მაძიებელ, სულიწმინდის, ერის მრწამსისა და სათაყვანებელ წმინდანთა აბუჩად ამგდებ — შეურაცხმყოფელ-შემაგინებელ „რასკოლნიკ" ქართველებს იქეთკენ განკვეთს, საიდანაც ნათლობა (თუ „ხელდასხმა...") მიიღეს და ცრუმოძღვარ ამბაკუმივით, ერის მოთხოვნით გაადევნებს ურჩობით დაცემულ მოძმე ჩრდილოელ „რასკოლნიკებთან...". ხოლო სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოების: საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქ. სსრ სუკ-ის მუშაკებს უპირველეს ყოვლისა ქრისტიანული სიყვარულით დაბეჯითებით ვთხოვთ, შეუწყვიტონ ყოველგვარი დახმარება და მფარველობა ერის სულიერი დაყოფისა და განხეთქილების მცდელ და ახლად აღდგენილ ავტოკეფალიის „რასკოლნიკ" მტრებს, ერის მოძღვარის წმ ილია მართლის მამულის შვილთა ნათელი მომავლისათვის.

ტყვეთა განმათავისუფლებელ, სნეულთა მკურნალ და მეფეთა უძლეველ წინამბრძოლ წმ. გიორგის შევთხოვოთ ერთად გაასხივოსნოს ჩვენი გული და გონება ღმერთთან და ურთიერთ ერთობისათვის. ამინ!

**მერაბ კულაქველიძე**

**ჰონორარი გადაირიცხება საქართველოს საპატრიარქოს ფონდში.**

---



# მხოლოდ „ოსკარები"

რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისში ნამდვილი კინოდღესასწაული დაიწყება. სამი დღის განმავლობაში ისეთი ფილმების ნახვის საშუალება ექნებათ თბილისელებს, ისეთ კინოხელოვანებთან შეხვედრის საშუალება, რომ ეს დღეები ნამდვილად შეიძლება კინოდღესასწაულად ჩაითვალოს.

21-დან 24 მაისამდე, თბილისის კინოსახლისა და კინოთეატრების: „რუსთაველის", „ამირანის", „ივერიის", „თბილისის", „ისანის" აფიშებზე კინომოყვარულები სიამოვნებით წაიკითხავენ საქვეყნოდ ცნობილ ამერიკულ კინოფილმთა სათაურებს: „კასაბლანკა", „სადღაც იქ ზემოთ ვიღაცას ვუყვარვარ", „ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი", „ძაღლის შუადღე", „ტაქსისტი", „დიდი გაროგება", „სხეულის სიმხურვალე", „ნიღაბი", „კანზასი".

ამგვარი ფილმების ფართო ეკრანზე ხილვა მართლაც დიდი სიამოვნებაა, მაგრამ ეს დღეები მხოლოდ ამით როდი იქნება საინტერესო, საქმე ის გახლავთ, რომ ამჯერად ამ კინოფილმებთან ერთად თბილისს ესტუმრებიან მათი ავტორებიც. საქვეყნოდ ცნობილი კინოდრამატურგები, ამერიკული კინოს კლასიკოსად აღიარებული „ოსკარის" მრავალგზის მფლობელი ხელოვანნი.

მხოლოდ რამდენიმე სახელის დასახელებაც იკმარებს, ნათელი რომ გახდეს როგორ სტუმრებს ველით.

უილიამ გოლდმანი — მწერალი და დრამატურგი, მისი ორი ნამუშევარი, სცენარები ფილმებისთვის „ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი" და „პრეზიდენტის მთელი მხედრიონი" — ამერიკის კინოხელოვნების აკადემიის უმაღლესი ჯილდოთი „ოსკარით" აღინიშნა.

ერნსტ ლემანი — პოპულარული რომანისტი და კინოდრამატურგი პირველი „ოსკარი" მან კინოფილმ „საბრინას" სცენარისთვის დაიმსახურა, შემდეგ იყო კიდევ ერთი „ოსკარი", შემდეგ კი კიდევ ერთი ფილმისათვის „ვესტსაიდის ისტორია". თითოეულ ჩვენგანს ახსოვს და უყვარს მისი შემდგომი ფილმები „მუსიკის ჰანგები", „ჰელლო დოლი!" და „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის!" სწორედ ამ ფილმმა მოუტანა ერნსტ ლემანს მეოთხე „ოსკარი".

ფრენკ-პირსონი რეჟისორი და დრამატურგი. ამერიკის კინოხელოვნების აკადემიის სამი უმაღლესი ჯილდოს მფლობელი.

ჯულიუს ეპშტეინი ამერიკული კინოს პატრიარქი, საქვეყნოდ აღიარებული კინოსა და თეატრის დრამატურგი, ოთხი „ოსკარის" მფლობელი, რომელთა შორის ბოლო, ავტორმა მიიღო გახმაურებული ფილმისათვის „რუბენ, რუბენ". ამ ფილმს თვით ავტორი აფასებს როგორც ნამუშევარს, რომელიც კომერციულ ფასეულობებზე მაღლა დგას.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სახელი მოგაგონეთ, მათთან ერთად 21 მაისს თბილისს ეწვევა 30-მდე ცნობილი ამერიკელი კინოხელოვანი, ქართველ მაყურებელს საშუალება ექნება გაეცნოს სტუმრებს და მათ ყველაზე პოპულარულ ნამუშევრებს.

ამერიკელ დრამატურგთა საუკეთესო ფილმების ამ ფესტივალს აწყობს საქართველო-ინგლისის კულტურის ცენტრი „მთვარის გლობუსი", ასკ-ი (ამერიკულ-საბჭოთა კინოინიციატივა) და სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის დრამატურგთა გილდია.

მაშ ასე, თბილისელებო, 21-დან 24 მაისამდე თვალი ადევნეთ ამერიკის დრამატურგთა ფესტივალის აფიშებს.

**საკუთარი ინფორმაცია**

## საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა

# მრგვალი მაგიდის IV შეხვედრა

**15 მაისს,** სამშაბათს, 20 საათზე ივ. მაჩაბლის ქ. № 11, მრგვალი მაგიდის დარბაზში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა **მრგვალი მაგიდის** მორიგი — IV შეხვედრა.

სტუმრის სტატუსით მოწვეული იყო პროფესორი ბ-ნი **ნოდარ ნათაძე**, ასევე სტუმრის სტატუსით მოწვეული ბ-ნი აკაკი ბაქრაძე (ავადმყოფობის გამო) ვერ დაესწრო **მრგვალი მაგიდის** მუშაობას.

**მრგვალი მაგიდის** შექმნის ინიციატორმა მუდმივმა წევრმა-ორგანიზაციებმა და მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფის წევრებმა, **მრგვალი მაგიდის** საკოორდინაციო კოლეგიაში მუდმივი წევრის სტატუსით შეიყვანეს მწერალი ბ-ნი **ზურაბ პეტრიაშვილი,** ბ-ნი **ნოდარ იმნაძე** (საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ბათუმის ფილიალი), ბ-ნი **არკადი მარკოზია** (წმ. ილია მართლის საზოგადოება, გაგრის ფილიალი).

სტუმრის სტატუსით კვლავ მონაწილეობდნენ წევრი ორგანიზაციები: საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია და საქართველოს მწვანეთა პარტია ორ-ორი წარმომადგენლით.

**მრგვალი მაგიდის** მუშაობის ცენტრალური საკითხი კვლავ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა **მრგვალი მაგიდის** პოლიტიკური კონცეფციის გარჩევა გახლდათ. პოლიტიკური კონცეფციის გააზრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ბ-მა ნოდარ ნათაძემ, რომელმაც ძირითადად გაიზიარა მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია, მაგრამ. ამასთანავე, ჰქონდა რამდენიმე საინტერესო დაზუსტება.

მოვიდა ელვა-ინფორმაცია დღევანდელი ბოგდანოვკის რაიონის სოფლებში შექმნილი დაძაბული ვითარების შესახებ, რომლის გასარკვევადაც სხდომა დატოვეს ბ-მა ზვიად გამსახურდიამ, ბ-მა ავთანდილ რცხილაძემ და ბ-მა თენგიზ კიტოვანმა.

მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფის საკოორდინაციო კოლეგიის წევრმა, პროფესორმა ბ-მა თენგიზ სიგუამ დარგობრივი პრინციპებით შექმნა მრგვალ მაგიდასთან სამუშაო ჯგუფი საქართველოს სახელმწიფოს კანონიერ მოქალაქეთა საარჩევნო ცენზის შესახებ, რომელშიც გაერთიანდნენ იურისტები.

**მრგვალი მაგიდის** სპიკერი გახლდათ. ბ-ნი ვახტანგ ბახტაძე.

**მრგვალი მაგიდის. მორიგი V შეხვედრა გაიმართა 18 მაისს.**

ამავე დღეს ალკკ-ს შენობის წინ გაიმართა **მრგვალ მაგიდასთან** გაერთიანებულ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიათა და ორგანიზაციათა საინფორმაციო მიტინგი.

**თბილისი, 17 მაისი, 1990 წ.**

**საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნე“.**

# აუცილებელი განმარტება

**უკანასკნელ** ხანს კომუნისტურ პრესაში გახშირდა ეროვნული მოძრაობის ცალკეული წარმომადგენლებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების საწინააღმდეგო განცხადებებისა თუ მათ შესახებ აშკარა დეზინფორმაციის გავრცელება. სავალალოა, რომ მთელი ეს „ინფორმაცია“ მოედინება ეროვნული ფორუმის სახელით.

მიზეზი, რის გამოც ჩვენ უარი განვაცხადეთ ფორუმში ყოფნაზე, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული „ახალგაზრდა ივერიელის“ 5 მაისის ნომერში. სხვათაშორის, იქ ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ფორუმის ზოგიერთი წევრი ვერ აღმოჩნდა სათანადო ზნეობრივ დონეზე და მათგან ეროვნულ მოძრაობას ემუქრება დისკრედიტაციის დიდი საფრთხე. უმთავრესი მიზეზი ჩვენს მიერ ფორუმის დატოვებისა იყო სკანდალური ინციდენტი — სროლა ფორუმის მიმდინარეობის დროს. 10 მაისს გაზეთ „თბილისში“ კვლავ გამოქვეყნდა ფორუმის განცხადება, სადაც შეგნებულად იგნორირებულია ზნეობრივ მომენტზე ხაზგასმა. რატომ? იმიტომ, რომ ამ თვალსაზრისით მათ, ფაქტიურად, არაფერი დარჩათ სათქმელი. ამის სანაცვლოდ ე. წ. ფორუმი ცილს სწამებს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას, რომელსაც თავხედურად ბრალად სდებს „სიყალბეს“. ის, რომ ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ ფორუმი დატოვა აღნიშნულ ინციდენტამდე, გამოწვეული იყო სათანადო ზნეობრივ დონეზე. სკანდალურმა ინციდენტმა მხოლოდ დაადასტურა ბ-ნ ზვიად გამსახურდიას განცხადების საფუძვლიანობა. ამიტომ იყო, რომ ეროვნული მოძრაობის თავკაცის სამართლიან გადაწყვეტილებას სხვათა მხარდაჭერაც მოჰყვა. ბევრმა ჩვენგანმა უმალვე გაიცნობიერა, რომ „ეროვნული მოძრაობის ერთიანობას ფორუმიდან ჩვენი გასვლით კი არ ემუქრება საფრთხე, არამედ ორგანიზებული ტერორიზმისაგან, რომელსაც ჩვენი ერის უბოროტესი მტრები უპირისპირებენ ეროვნულ მოძრაობას და მის წარმომადგენლებს“ („მიმართვა ქართველი ერისადმი“).

ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ 24 აპრილს გამართულ მიტინგზე ი. წერეთელმა საჯაროდ ამხილა ინციდენტის მონაწილენი. უფრო მეტიც, მან კონკრეტული პიროვნებებიც დაასახელა და ეროვნული მოძრაობის მტრებად გამოაცხადა ისინი. რა მოხდა შემდეგ? შემდეგ ფორუმში იმარჯვა კომისიების შექმნის გორბაჩოვულმა ფანდმა და ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ამ საქმეში გამობრძმედილი „უფროსი ძმა“ გვასწავლის: სროლა იყო, მაგრამ არ ყოფილა. უზნეობაც იყო, მაგრამ არც ის ყოფილა; მოკლედ: იყო და არა იყო რა... ასეთია სიცრუისა და ორპირობის შედეგი.

ბუნებრივია, რომ შექმნილ ვითარებაში საზოგადოებას უჩნდება მტკივნეული შეკითხვები: თუ კი ი. წერეთლის პირვანდელი განცხადება სიმართლეს შეიცავს, მაშინ როგორღა გავიგოთ ის, რომ მის მიერ ბრალდებული პირები დღეს აქეთ გვკიდებენ ბრალს, აქაოდა ეროვნული მოძრაობის გამთიშველები ხართო... უფრო მეტი ცინიზმის წარმოდგენა განა შეიძლება? ისინი, ვინც გუშინ ოფიციოზისა და კორუმპირებული მაფიის წაქეზებით სასიკვდილო ავანტურაში ითრევდნენ თავისსავე თვისტომს, დღეს ჩვენ გვიკიჟინებენ — „მათ ოფიციოზს ხელ-ფეხი გაუხსნეს ფორუმის ზოგიერთი წევრისა და ორგანიზაციის საწინააღმდეგოდ“... ამის შიში კი ნამდვილად ნუ გექნებათ, ბატონებო! ოფიციოზი თითსაც ვერ დაგაკარებთ. ი. წერეთლის თავდაპირველი გამოსვლა მათთვის ყველაზე საფუძვლიანი ბიძგი იქნებოდა თქვენი მხილებისათვის, მაგრამ მოლოდინისამებრ, ოფიციოზს თმის ღერიც არ დაუზიანებია. თქვენთვის, რამეთუ თავად მის ნებას აღასრულებდნენ ამ ტერორისტული „აქციის“ მომწყობნი. ასე რომ, ნიანგის ცრემლებს ამაოდ ღვრით. ფაქტებს კი ვერსად გავექცევით — ისინი მკაცრ ჭეშმარიტებას ღაღადებენ: დიახ, ხანგრძლივი სროლა ავტომატური იარაღით რუსთაველის პროსპექტზე შორსგამიზნული პროვოკაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და იგი ეროვნული მოძრაობისათვის ლახვარის ჩაცემის მცდელობად უნდა მივიჩნიოთ. ყოველივე ამის ფონზე ფორუმის მიერ შექმნილი „საგანგებო კომისიის“ „დასკვნა“, სხვა რომ არა იყოს რა, შემაძრწუნებელია თავისი ცინიზმით, არაკომპეტენტურობითა და შეგნებულად გამიზნული ზედაპირულობით. აი, რას ვკითხულობთ ამ, უკაცრავად პასუხია და, „დასკვნაში“: „ინციდენტი დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანებულ ცალკეულ პირთა შორის არსებული პიროვნული შეუთავსებლობით გამოწვეული განხეთქილების, ეჭვის, უნდობლობის და დეზინფორმაციის საფუძველზე“. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ეს ყველაფერი სრულ სიმართლეს წარმოადგენს. კი, მაგრამ, ამ „განხეთქილებით“, „ეჭვით“, „უნდობლობითა“ და „პიროვნული ურთიერთშეუთავსებლობით“ დაავადებულ ადამიანებსა და მათს ორგანიზაციებს რა საერთო აქვთ ეროვნულ მოძრაობასთან? ან რა ზნეობრივი უფლება აქვთ, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, თითის ქნევით ელაპარაკონ ბატონ ზვიად გამსახურდიას? ხალხმა აგვირჩიაო, — იტყვიან ისინი. მაგრამ არც ეს იქნება საკმაო მოტივი. ჩვენს ახლანდელ ქაოსურ ყოფაში ნებისმიერი არჩევანი რომ საეჭვო აღმოჩნდეს, სულაც არაა გასაკვირი, მით უმეტეს, რომ არჩევნები ჩატარდა ღია და არა ფარული კენჭისყრით. და იგი მოგვაგონებს მოსკოვის ე. წ. უზენაესი საბჭოს პრაქტიკას. ამიტომ ფორუმს უნდა ეყოს გაბედულება და, რაც მთავარია, ზნეობრივი სიმტკიცე, რათა გაემიჯნოს მაფიოზურ ბნელ ძალებს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნება მას უფლება იწოდებოდეს „ეროვნულად“. სხვა საკითხებზე კამათი სამომავლოდ გადავდოთ, ამჯერად ხელისმომწერთ გულწრფელად ვუსურვებ ჭეშმარიტ ეროვნულ პოზიციაზე დადგომას.

**ავთანდილ რცხილაძე,**

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი.**

# გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციას

## ასლი: ეროვნულ ფორუმს

**ახლა,** როცა დღე-დღეზე ველით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გადადგმულ გადამწყვეტ ნაბიჯებს, რაოდენ გამაოგნებელი იყო ეროვნული ფორუმის ზოგიერთი წევრის ხელმოწერით გამოქვეყნებული განცხადება, რომელშიც დაგმობილია ბატონ ზვიად გამსახურდიასა და იმ პირთა გადაწყვეტილება, რომლებმაც პროტესტის ნიშნად დასტოვეს ეს ახლადშექმნილი ორგანიზაცია. გაგვაოცა მისმა „ოპერატიულობამ“ და დასკვნამ, რომლითაც ეს პატიოსანი ადამიანები ლამის ერის მოღალატეებად არიან გამოცხადებული. საკითხავია, ამ „განაჩენის“ გამომტანები რა მორალით და ვისი ავტორიტეტით ხელმძღვანელობდნენ, როცა ასეთი უპასუხისმგებლო დასკვნა გამოჰქონდათ. ისიც საინტერესოა, ერთ დღე-ღამეში რამ შეცვალა განმცხადებელთა დამოკიდებულება პროვოცირებული ტერორისტული აქციისადმი, რომელიც პრესის ფურცლებზე თავად დაგმეს და რომლის გამოც ფორუმი მიატოვეს ჩვენმა ნამდვილმა ეროვნულმა მოღვაწეებმა. ერთსაც შეგახსენებთ: როცა ზოგიერთმა პარტიამ და მისმა ლიდერებმა ეროვნული ხსნის კომიტეტი უმიზეზოდ (ამბიციურობით) მიატოვეს კრიტიკულ მომენტში, საჯაროდ არავინ ცდილა მათ კომპრომეტირებას და არავის ჩაუთვლია ეს ერის ღალატად (თუმცა, კაცური ღალატი მაინც იყო).

ქართველი ერი სწორედ ბატონ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ნათელ სახეს, მათ თანამებრძოლებს მიჰყვება და გაჰყვება მომავალშიც. დროა, გონს მოეგონ ისინი, რომლებმაც აჩქარებული და არასწორი ნაბიჯი გადადგეს და კვალში ჩაუდგნენ ჩვენი ეროვნული მოძრაობის სინდისს და გონებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველი ხალხი ჩამოიშორებს მათ ამ მოძრაობიდან.

ჩვენი საზოგადოება ვინმეს ბრმა ხომ არ ჰგონია, რომ ვერ ხედავდეს, ვინ დგას იმ ტერორისტების ზურგს უკან, რომლებიც დღისით, მზისით შუა რუსთაველზე ავტომატებიდან ცეცხლს ხსნიან და დაუდგენელი პიროვნებები ხდებიან: განა ეს ტერორისტთა ოფიციოზთან კავშირზე არ მეტყველებს?.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუსთაველზე ჩადენილი აქცია შეთქმულებას უფრო ჰგავდა, ვიდრე პიროვნებათა შორის შემთხვევით გამოწვეულ ინციდენტს, როგორც ეს 10 მაისის გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული კომისიის დასკვნაშია ნათქვამი, თუმცა, იმავე დასკვნაში ნათლად ჩანს, რომ მხარეთა შორის დავა ჯერ კიდევ ცხინვალის აქციის დროს დაწყებულა. საინტერესოა, რა მისია შეასრულა ცხინვალში მხედრიონმა. ამბობენ, იგი ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას იქიდან დაუთხოვია.

ვისაც სურს სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოლოს, დროა მრგვალ მაგიდასთან მოსხდნენ სკამი ბატონ ზვიად გამსახურდიასა და ფორუმიდან გასულ სხვა მოღვაწეებთან დიალოგისათვის, მხოლოდ ამაშია ეროვნული მოძრაობის შემდგომი პერსპექტივა. სხვა გზა არ არსებობს.

ღმერთმა შეუნდოს!

**ცეკავშირის დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობა და საქალაქო სამომხმარებლო საზოგადოების თანამშრომლები.**

**(410 ხელმოწერა).**

# პატივცემულო რედაქცია!

**ა/წ 5 მაისის** „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა „მიმართვა ქართველი ერისადმი“, რომელსაც ხელს აწერენ ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრენი. ჩვენ აღგვაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ტერორის გზით სურდათ ეროვნული მოძრაობის ჩახშობა. მთლიანად ვუჭერთ მხარს მათ გადაწყვეტილებას, დაეტოვებინათ ფორუმი, თუ დანაშაულს არ მიეცემოდა პოლიტიკური შეფასება და დამნაშავენი არ დატოვებდნენ ფორუმს. სხვა შემთხვევაში მათი დანაშაულებრივი მოქმედება მიეწერებოდათ ბატონ ზვიად გამსახურდიასა და მის თანამოაზრეებსაც, რაც სახელს გაუტეხდათ საზოგადოების თვალში. ბატონი ზვიად გამსახურდია კი არა მარტო ჩვენ, საქართველოს ყველა ჭირისუფალს წმიდა სანთლად უნთია და გზას უნათებს. არ ვეთანხმებით ა. წ. 1 მაისის „ახალგაზრდა ივერიელის“ ნომერში გამოქვეყნებული ეროვნული ფორუმის მონაწილეთა ერთი ჯგუფის განცხადებას, რომ ეს ეროვნული მოძრაობის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია და რომ იგი მტრის წისქვილზეასხამს წყალს. მტრის წისქვილზე სწორედ ის დაასხამდა წყალს, თუ ზვიად გამსახურდია, ვაჟა ადამია და ყველა მისი ერთგული პირი ტერორისტების გვერდით დადგებოდნენ, რომლებიც ხელსაყრელ მომენტში ყოველთვის შეძლებდნენ მათ ფიზიკურ განადგურებას. ჩვენ მიტინგებზე მოვისმინეთ, რომ ნაწილი არ ამართლებს ამ ნაბიჯს, რადგან მათ თითქოს უნდა ებრძოლათ ფორუმის გაწმენდისათვის, მაგრამ როგორ? უზნეო ავტომატიან ადამიანებს, რომელთაც ადამიანის სიკვდილი არაფრად უღირთ, რომელთა უკან მძლავრი დამცველი დგას ოფიციოზის სახით, ზვიად გამსახურდია ცარიელი ხელებით შეებრძოლოს, თუ მანაც ავტომატი დაიჭიროს ხელში? სწორედ ეს მიიყვანდა საქმეს სამოქალაქო ომამდე, რითაც ასე ძალიან გვაშინებენ ზოგიერთეზი. „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“ — რუსთაველს უთქვამს. ჩადენილი ინციდენტის გამო შექმნილი საქმის გამომძიებელი კომისია კი ძალზე წააგავს ხელისუფლების მიერ 9 აპრილის ამბების გამო შექმნილ კომისიას, რაც კიდევ უფრო ადასტურებს მის მონაწილეობას ამ საბედისწერო ქმედებაში.

რაც შეეხება ეროვნული მოძრაობის ერთიანობას, არც მას ემუქრება საფრთხე, რადგან ეროვნული მოძრაობა სწორედ იქ არის, სადაც ბატონი ზვიად გამსახურდიაა და სადაც სულმნათი მერაბ კოსტავა იყო, ხოლო მისი მოწინააღმდეგენი ე. ი. „მტრის წისქვილზე წყლის დამსხმელნი“, რაც ადრე მოხვდებიან საზოგადოებრივი აზრის გარეთ, რაც ადრე შეეკვრებათ ხელ-ფეხი, მით უკეთესი იქნება საქმისათვის. ჩვენ ვხედავთ, რომ ეროვნული ფორუმის ჯანსაღმა ნაწილმა დატოვა იგი, მაგრამ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ მხოლოდ არაჯანსაღი ნაწილი დარჩა ფორუმში. იმედი გვაქვს, ისინი თვით ამხელენ დამნაშავე პირებს. ან უნდა ამხილონ, ან მათაც ასევე დატოვონ ფორუმი, რათა ყველასთვის აშკარა გახდეს ნამდვილი მტერი, იგი მარტო უნდა დარჩეს, შიშველი დარჩეს, გარეშე თუ შინაურ ბნელ ძალებთან შეკრული.

ჩვენ გვინდა თხოვნით მივმართოთ მთელ საქართველოს, ჩვენს ინტელიგენციას, ყველა საღად მოაზროვნეს, გვერდით ამოუდგნენ ეროვნული მოძრაობის ჯანსაღ ნაწილს, მის თავკაცს ბატონ ზვიად გამსახურდიას. დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება მას მოყვასის ხელი და დახმარება. ეს იქნებოდა ეროვნული მოძრაობის გაწმენდაც ბალასტისაგან, მიტმასნილი ელემენტებისაგან. ჩვენი ფორუმიც იქ იქნება, სადაც ეროვნული მოძრაობის ჯანსაღ ნაწილს დავინახავთ, შეიძლება არა იურიდიულს, მაგრამ ნამდვილს, სუფთას, ტერორისგან და ბანდიტობისაგან შორს მდგომს. ხალხი ყველაფერს თვითონ გადაწყვეტს არჩევნების დროს. ხალხი არ შეცდება, თუ ხელოვნურად არ დავაბნევთ მას. ამ საქმეში კი უდიდესი როლი შეუძლია შეასრულოს ჩვენმა ინტელიგენციამ, რომლის იმედი გვაქვს და ღმერთმა ნუ მოგვიშალოს იგი.

**საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი პრობლემური ლაბორატორიის თანამშრომლები დ. ბარათაშვილი, ი. მაისურაძე, ნ. ბარამიძე და სხვა.**

**(სულ 24 ხელმოწერა).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუბრიკიდან: მოშინაურებული სახეები



# დარჩენისათვის...

**ლამის** ტრადიციად დამკვიდრდეს ჩვენთან: თუ ხელოვანს უცხოელების ალმაფრთოვანებელი ქება-დიდება არ ღირსებია, უცხოურ პრესას ერთი მცირე პუბლიკაციაც კი არ გაუმეტებია მისთვის, ძალიან ძნელად რომ ჩვენიანი ჩვენვე ვაღიაროთ, უფრო სწორად, ვაღიაროთ დიდი მწერლის (ფლობერის) საზომადქცეული ფორმულა: ხელოვანს თავის ნაწარმოებში ყოველთვის უნდა გრძნობდე და ვერასოდეს ვერ ხედავდე...

თუ ტრადიციას არ დავარღვევთ, დავიწყებთ იმით, რომ შარშან, ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა გამოაცხადა საერთაშორისო კონკურსი: „დიომედები". დიომედები — ორი პატარა გრანიტის კუნძულია ბერინგის სრუტეში, აშშ-სა და სსრკ-ს საზღვარზე, კონკურსის მონაწილეებს უნდა გაემთლიანებიათ ეს საზღვარი, უნდა აესახათ ადამიანური ყოფიერების ჭეშმარიტი საზრისი და არსი ისეთ პატარა და ზღვარდადებულ პლანეტაზე, როგორიც დედამიწაა...

კონკურსის ლაურეატთა შორის იყო არქიტექტორ **ლადო ხმალაძის** ნამუშევარი. ხოლო არატრადიციულად ამ კონგრესის შესახებ არაფერს ვიტყვით, იმიტომ არა, ორიგინალურები ვიყოთ. გვინდა, რომ ხელოვანმა თავის თავზე იამბოს...

●

**— ლადო, თქვენ არქიტექტორიც ხართ და მხატვარიც...**

— მე მხატვარი არა ვარ.

**— მოდით რა, ამ შემთხვევაში ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე...**

— კარგით; მე მიმაჩნია, რომ არქიტექტორი მხატვარია გლობალური მასშტაბით, პირადად ჩემთვის ზღვარი არქიტექტორსა და მხატვარს შორის არ არსებობს.

**— გარემოს აღქმა სხვადასხვანაირად არ ხდება მხატვრისა და არქიტექტორის მიერ?**

— არა, მე ეს ერთნაირად წარმომიდგენია.

**— ერთნაირად რომ არ გამოხატავთ?**

— მე ვცდილობ ისე გამოვხატო, როგორც მე მაწუხებს და სხვადასხვანაირად თუ გამომდის, ეს




ჩემზე აღარაა დამოკიდებული. უბრალოდ, სხვადასხვა ხერხებია საჭირო არქიტექტურაში სივრცის დასაჭერად, ხოლო, თუ მხატვრობაში ემოციას აფიქსირებ, მაშინ სულ სხვა განზომილებებთან გაქვს საქმე.

**— ამასწინათ, კამათისას, არქიტექტორებმა თქვეს: პირველად კი იყო სიტყვა, მაგრამ ადამიანმა გაჩენის დღიდან მაინც თავშესაფარზე დაიწყო ზრუნვა. გამოქვაბული იყო პირველი ბუნებრივი არქიტექტურული შენობაო... როგორია ხუროთმოძღვრების გზა იმ გამოქვაბულიდან დღემდე?**

— არქიტექტურა მოწოდებულია იმისათვის, რომ შექმნას მატერიალური სამყარო და დაუმორჩილოს ადამიანს, ხოლო თავშესაფარს ადამიანის პირველი მარტივი საცხოვრებლიდან მოყოლებული დღემდე ერთი და იგივე ფუნქცია აქვს, მაშინ „დოლმენი" სავსებით პასუხობდა იმ „დალბრულ ტვინს" დღეს კი ადამიანი დაიხვეწა, უფრო გაღრმავდა, გარესამყაროსთან მიმართებაში შეიცვალა და, ცხადია, უფრო მეტი მოუნდა...

**— რატომ ხდება, რომ ადამიანს იმ „დოლმენის" ნოსტალგია უჩნდება და არცთუ იშვიათად, ხომ არ შექმნა თანამედროვე არქიტექტურამ დისჰარმონია ადამიანსა და მატერიალურ სამყაროს შორის?**

— საერთოდ, სოციალურ სფეროში სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ტექნიკურმა ცივილიზაციამ ძალიან გაუსწრო ჰუმანიტურ სფეროს. მოხდა დისჰარმონია.

დღევანდელ არქიტექტურას თავისთავად შეჰყავს ადამიანი თავის ტიპიურ გარემოში, ბუნების მოთხოვნილება კი ადამიანში ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. მართალია, ჩვენ ბუნებას დავცილდით, მაგრამ დღევანდელ მატერიალურ სამყაროს რომ ვქმნით, ეს ქმნადობაც ხომ ჩვენი ბუნებაა უცვეაი, მიშველი მინისა და ბეტონის გარეშე შეიძლება ველარ იცხოვრო. ის მყუდრო დოლმენი ეგზოტიკაა და წუთიერია, თორემ დღევანდელი ფსიქიკით დოლმენში უკვე ველარ იცხოვრებ...

**— დღევანდელი გარემო თუ მოგწონთ, არქიტექტურის თვალსაზრისით?**

— კონტრკითხვა მინდა დავსვა: დღევანდელი სოციალური გარემო მოგწონთ?

სოციალური სფერო მორყეულია და არქიტექტურაც ბუნებრივია, მორყეული იქნება...

არქიტექტურა ყოველთვის იყო ამა თუ იმ ერის მატერიალური კულტურის მაჩვენებელი. თავისდაუნებურად სისტემამ ისეთი „ლამაზი ავტოგრაფი" დასვა დედამიწის ამ ერთ მეექვსედზე არქიტექტურის სახით, რომ ამაზე კარგად ჩვენს ბიოგრაფიას ვერცერთი შედევრი ვერ წარმოაჩენდა.

ჩვენი დღევანდელი არქიტექტურა, გამოხატული მასიურ მშენებლობაში, არის ბარბაროსობა.

**— თქვენი აზრით, რატომ არ არის ჩვენთან საკუთარი თავის „შეკვეთით" შესრულებული პროექტები?**

— არქიტექტურაში შენი სულისთვის რამე რომ აკეთო, ისეთი შრომატევადია და იმდენ დროს მოითხოვს, რომ სამსახურს აღარ უნდა მიეჯაჭვო. სტუდენტობისას მქონდა პოეტური პერიოდები, მომავლის ქალაქების პროექტებს ვაკეთებდი, აკადემიაში ფუტურისტებად ვიყავით მონათლულები...

**— როდის დაამთავრეთ?**

— 76-ში... მმმ!!.. თქვენ რა კითხვა დამისვით?... ჰო, კორბუზიე ამბობდა: მხატვრობაში, მუსიკაში, ხელოვნებაში ვუნდერკინდების პრეცენდენტი შექმნილა, მაგრამ არქიტექტურაში ასეთი პრეცედენტი არ არსებობსო...

არქიტექტურა სინთეზური ხელოვნებაა, მოიცავს არა მარტო ხელოვნებას, არამედ მეცნიერებას, ტექნიკას, ამიტომაა, რომ ათი წლის წინ გაკეთებული პროექტი დღეს მოძველებული იქნება. მშენებლობის ტემპებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა. მშენებლობის დროს პროექტირების დონე ეცემა. როცა პროექტირებას აკეთებ, ცდილობ მოერგო საამშენებლო ინდუსტრიას, ბოლოს აღმოაჩენ, რომ შენი გემოვნებაც დეგრადირებულია. მე ვიცი ნიჭიერი ხალხი, რომელნიც ამ რეალურმა პროექტირებამ თითქმის გააქრო.

ფასეულობას ფასეულობა რომ დაუბრუნდეს ჩვენთან, მერე შეიძლება რაიმე ღირებულის კეთება. წარმოგიდგენიათ, 70-90-იან წლებში მთელი ავანგარდიზმი ისე გავიდა სსრკ-დან, კაციშვილი იმის გამგებელი არ იყო, ეს რა მიაქვთო. პლანეტზე რაღაც ლაქაა, კი ბატონო, — წაიღეთო და აივსო უცხოეთის მუზეუმები, ახლა ცარიელ მუყაოს აღარ გაგვატანენ...

**— მოკლედ, ნამდვილი არქიტექტორი რამდენ ხანში ქრება სსრკ-ში?**

— ჯერ ვთქვათ, როდის იბადება ნამდვილი არქიტექტორი...

**— ხაზი არქიტექტურაში უფრო სათუთია თუ მხატვრობაში?**

— მე მგონი, არქიტექტურაში. არქიტექტურაში ხაზი ისპობა მაშინ, როცა მოცულობა რეალიზდება, როცა შუქ-ჩრდილი შემოდის, ხაზი უკვე აღარ ფიგურირებს, ამიტომ ათასჯერ და მილიონჯერ აწონილი ხაზია საჭირო არქიტექტურაში...

**— ათასჯერ და მილიონჯერ აწონილი ხაზი უფრო ღირებულია ხელოვნებაში თუ უცაბედი, იმპულსური ემოციით შექმნილი?**

— მე რას ვგულისხმობ იცით? ერთხელ პიკასომ ჩანახატი გააკეთა. ჟურნალისტმა ჩანახატი გამოგლიჯა ხელიდან და — რა ღირება მაესტროო — ჰკითხა. 10000 დოლარიო — უთხრა პიკასომ. რატომ, თქვენ ხომ იგი 3 წუთში დახატეთო, არაო — პიკასომ, მე მას 84 წელი და 3 წუთი მოვუნდიო. გააჩნია, იცით, ვინ აკეთებს ხაზს. 60 წლის დახარჯულმა არქიტექტორმა რომ ხაზი გაავლოს, მის უკან უამრავი ნაფიქრი წლებია და წლებთან ერთად ნაფიქრი ხაზიცაა.

**— როგორია ქართული არქიტექტურის გამოკვეთილი სახე?**

— შედარებისათვის დავიწყოთ ქართული ტრადიციული კოსტუმიდან. ჩვენი საყვარელი ფერი ისეთი იყო, როგორი ცხოვრებაც გვქონდა: შავი, ლურჯი, შინდისფერი. აქსესუარშიც ჩანს ქართველი კაცის ბუნება. არქიტექტურაში კარგად ვლინდება ჩვენი მაქსიმალიზმი. უკიდურესი კარგი, უკიდურესი ცუდი — ყოფით არქიტექტურაში, საკულტოში ცოტა თავშეკავებულია, მაგრამ აქაც იგრძნობა სივრცეებისა და მასშტაბების უკიდურესობა პროპორციაში და ფერში...

დღევანდელი ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელია პომპეზურობა, თეატრალურობა, თუმცა ეს ჩვენი ბუნებაა, ასეთები ვართ ქართველები...

**— თქვენ ახსენეთ მაქსიმალიზმი და მე არ შემიძლია არ გავიხსენო ის საოცარი ზომიერება, რომელიც ჩვენს ხუროთმოძღვრებაში არსებობდა: ხვეწა ყველა ხაზში, ყველა ნაკვთში, ყველა მოქცევაში...**

— იცით, მაქსიმალიზმს ერთი მთლიანობა მაინც ახასიათებს. ცუდი და კარგი თავისთავად ქმნის ჰარმონიას, პლიუს-მინუსივითაა.

სად მჟღავდება ძველ არქიტექტურაში ეს მაქსიმალიზმი? ქართულ სამოქალაქო არქიტექტურაში, ბინათმშენებლობაში. ერთი ვეებერთელა დიდი მთავარი ოთახი, მინიმუმ ასკაციანი, დიდი საქეიფო აივანი, უნივერსალური სივრცე, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოაყალიბა ქართველმა კაცმა, თავისდაუნებურად ზუსტად ასახავს ჩვენს ფსიქოლოგიას, ხასიათს, ცხოვრების წირს. ანდა აიღეთ ქალაქური ეზოები, თითქმის ყველა ერთ დიდ სახლში ცხოვრობს...



დღევანდელი არქიტექტურა კი... გაგვთიშა ამ „კოლოფებმა", ახალ მიკრორაიონებში ხალხი გაუცხოვებული, ნიჰილისტი გახდა. ინდუსტრიის დაბალმა დონემ თავისთავად გამოძერწა კარჩაკეტილი ადამიანის სული.

**— ხელოვანი იმისთვისაა, რომ ემსახუროს ადამიანებს და ემსახუროს ღმერთს, თქვენ მითხარით, რომ დიდი ტკივილისგან იბადება ღირებულიო. არ გტკენიათ, რომ ყველაფერი კარგი უკვე იყო, იყო და გაჩერდა? ვინღა მოდის, რომ დღევანდელი ახალიც იყოს გახდეს ოდესმე...**

**ამხელა შესავალი კითხვისთვის დამჭირდა: დღესდღეობით თუ არის ვინმე, ვინც ტაძარს დააპროექტებდა?**

— ყველა ადამიანის სურვილია, რაღაც ისეთი გააკეთოს, რომ სული და ხორცი ერთ მთლიანობაში მოაქციოს. რაც შეეხება ტაძარზე გამოცხადებულ კონკურსს, არ მიმაჩნია გამართლებულად და რატომ...

70 წელია, რაც ჩვენ ოფიციალურად ღმერთი უარვყავით. დღეს ვამბობთ: „ღმერთი ჩვენთან არის", სული მარადიულია და რწმენა უნდა დავუბრუნოთ ხალხს...

70 წელი ადამიანები ანტიქრისტეებად ზარდე და ერთ დღეს გინდა კი არა ამ თუნდაც ნიჭიერი, მაგრამ ურწმუნო ხალხისგან ელი ტაძარს, გამოცხადებულია. როგორ შეიძლება, რაც გუშინ არ გწამდა, ის დღეს იწამო.

ამიტომ ამხელა გლობალური მასშტაბის რეალიზაცია აუცილებლად ზედაპირული გამოვა. ადამიანი არარაობაა იმასთან შედარებით, რასაც ეჭიდება, ზრდა კიდევ იმ არარაობიდან წვდომამდე მუდმივი ჭიდილია. უნდა იტანჯო მოკლედ, უტანჯველი კაცი კი ტაძარს ვერ ააგებს.

**— როდის ხატავთ ხოლმე, დროს არ ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, და თუ ფიქრობთ, რომ კარგად ხატავთ?**

— რა ვიცი, მე სულ ვფიქრობ, რომ ვერა ვხატავ. ისე ყველგან ვხატავ: ავტობუსში, გზაში.

მაგრამ სიმარტოვეში მირჩევნია, როცა ძალიან მიჭირს.

**— თუ გქონიათ შემთხვევა, როცა თავიდან ხატავდით, შენი იყო ის ნახატი, მეორედ, მესამედ რომ შეხედე, აღარ დაიჯერე იმის რაც დახატე?**

— ყოველთვის არა, მაგრამ უკვე დახატულის შეძულება ვიცი. ვთვლი, რომ კარგი თვისებაა, როცა კაცს რაღაცის უარყოფა შეგიძლია. გამოდის, რომ შენ იმის ძალაც შეგწევს, რატომ შეგიძლია, შენი ნამუშევრის უარყოფა. ხოლო, როცა ყველას მოსწონხარ, მე მგონი, ეს არც ისე კარგია.

**— შრომისმოყვარე თუ ხართ?**

— მე მგონი, კი.

**— იმ დღეს ამბობდით, ერთ სურათს ვხატავდი და გვერდით ძველ ტილოზე ფუნჯს ვწმენდდი, ცოტა ხნის მერე ვნახე, რომ ჩემდაუნებურად მეორე ტილოზე უფრო კარგი სურათი გამოსულაო...**

— როცა რაღაცას ვიწყებ, შებოჭილი ვარ, ცხენს რომ ლაგამი აქვს, ისეთ რაღაცას ვგრძნობ, ვერ განვთავისუფლებულვარ. ამ დროს მინდა ვიყო ბავშვივით უშუალო... აი, იმ ნახატზე რომ მითხარით, იქ გავთავისუფლდი მეორე ტილოზე როგორც მინდოდა, ისე „დავდიოდი". ამ დროს ეს გამოვიდა კარგი და ის მეორე მაინც ნაფიქრი, საშუალო...

**— ანგარიშს თუ უწევთ ვინმეს?**

— ... კი...ი

**— ხშირად თუ ხანდახან?**

— მე თვითონ კონფლიქტური პიროვნება არ ვარ სხვის მიმართ და ამიტომ ხშირად მიხდება ანგარიშის გაწევა...

**— არ ფიქრობთ, რომ ხშირი ანგარიშგაწევა შინაგან თავისუფლებაზე მოქმედებს?**

— ვფიქრობ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ეს უაზრო ანგარიშგაწევა აღზრდიდან მოდის და, ვცდილობ, რომ ჩემ თავთან ვიყო კონფლიქტური.

**— სხვებისთვის ძალიან ხართ საჭირო?**

— მინდა, რომ სხვებისთვის დავრჩე...

ესაუბრა

**ქეთინო სადღობელაშვილი**

**სურათებზე: ლადო ხმალაძის „ავტოპორტრეტი", სახელოსნოში. კონკურს „დიომედში" გამარჯვებული ლადო ხმალაძის ნამუშევარი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# სპორტპროგნოზი „იტალია-90“

## 100000 მანეთი — 9 მანეთად

## საჭიროა მხოლოდ სწორი პროგნოზი და ცოტა იღბალი

თქვენი ბილეთის სერიამ და ნომერმა კი შესაძლოა მოგიტანოთ ავტომობილი, ვიდეომაგნიტოფონი, საგზური უცხოეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ...


მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

# ბელგია

ბელგიის ნაკრები უკვე მერვედ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატში. ადრე ამ შეჯიბრებაში 1930, 1934, 1938, 1954, 1970, 1982 და 1986 წლებში მონაწილეობდა. ყველაზე კარგად უკანასკნელად ითამაშა — 1986 წელს მეოთხე ადგილზე გამოვიდა. გავიხსენოთ ისიც, რომ 1980 წელს ბელგიელებმა ევროპის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავეს.

ბელგიის ფეხბურთის ფედერაცია („უნიონ რუაიალ ბელჟ სოსიეტე დე ფუტბოლ ასოსიასიონ“) ჯერ კიდევ 1895 წელს შეიქმნა და ფიფაში 1904 წელს შევიდა (უეფას წევრია 1956 წლიდან). ქვეყანაში 3350 კლუბია, 420 ათასი აღრიცხული მოთამაშე, აქედან 250 პროფესიონალი ფეხბურთელი. საინტერესოა, რომ ამ სახელმწიფოში ყოველ 24 მცხოვრებზე ერთი ფეხბურთელი მოდის. 1989 წლის ზაფხულამდე ნაკრებს (13 წლის განმავლობაში, წარმატებით ედგა სათავეში „ბებერ მელად“ წოდებული გი თისი, რომლის ხელმძღვანელობით ბელგიელებმა 44 მატჩი მოიგეს, 24 ფრედ დაამთავრეს და 32 წააგეს. გი თისმა საკმაოდ გაურკვეველი მიზეზების გამო (ოფიციალურად გადადგომის მიზეზად გადაღლა ჩაითვალა) გადაწყვიტა გუნდს გამოთხოვებოდა. შემცვლელებად ასახელებდნენ პოლ ვან ჰიმსტს და ვილფრედ ვან მუირს, მაგრამ საბოლოოდ ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელობა 37 წლის ვალტერ მეეუვსს მიანდო.

ვალტერ მეეუვსმა ერთი რამ ნამდვილად გააკეთა: ცალკეული ჩავარდნების (1:1 ბრიუსელში ლუქსემბურგელებთან!) მიუხედავად, ბელგიელებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზურები მოუპოვა. გუნდმა კარგად ითამაშა ორივე ძირითად მეტოქესთან: ჩეხოსლოვაკიელებთან (2:1, 0:0) და პორტუგალიელებთან (1:1, 3:0). როცა 1989 წლის საფეხბურთო სეზონის შედეგები შეჯამდა, გამოირკვა, რომ ბელგიელებს ევროპაში ყველაზე კარგი შედეგები ჰქონდათ: 9 თამაშიდან 6 მოგება და 3 ფრე, ბურთების სხვაობა 20-5.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ როგორც კი დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატისათვის უშუალო მზადება, მეეუვსის საქმიანობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. „წითელმა ეშმაკუნებმა“ (ასე ეძახიან ფეხბურთის სამყაროში ბელგიელებს) პირწმინდად (0:2) წააგეს ამხანაგური მატჩი ათენში ბერძნებთან. „ჩვენ მაინც უკეთ ვთამაშობდით, ვიდრე ადრე ლუქსემბურგელებთან“ — სარკასტულად შენიშნა შეხვედრის შემდეგ თვით მეეუვსმა. კიდევ ერთი მატჩი ბრიუსელში შვედებთან მასპინძლებმა აშკარად უფეროლად (0:0) წარმართეს, რის შემდეგ ახალგაზრდა მწვრთნელს თავისი „გაკოტრების“ აღიარება და გადადგომა მოუხდა. ეროვნულმა ფედერაციამ ისევ მრავალნაცად გი თისს მოუხმო. „რაც მოხდა ჩვენს შორის, ნუღარ გავიხსენებთ“ — ასე შეურიგდა „ბებერ მელას“ ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დ’ჰოოგე, რომელიც ადრე მეუვსის დიდი გულშემატკივარი იყო.

თვალს თუ გადავავლებთ ბელგიელთა შემადგენლობებს შარშანდელ თუ წლევანდელ მატჩებში, ვნახავთ, რომ კარს უცვლელად იცავს განთქმული პრიუდომი („მეხელენი“). უკვე რამდენიმე წელია, რაც იგი ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება მსოფლიოში, შეჰყავთ სხვადასხვა სიმბოლურ ნაკრებში, იწვევენ დიდი ფეხბურთელების საბენეფისო მატჩებში და ა. შ. პრიუდომი შარშანდელი სეზონის შედეგების თანახმად აღიარებული იქნა ბელგიის № 1 ფეხბურთელად. ადრინდელი მწვრთნელი გადაეკიდა ნაკრების ვეტერანს, 35 წლის გერეტსს (თამაშობს ჰოლანდიაში „პსვ ეინდჰოვენში“), მაგრამ მეეუვსის განთავისუფლების შემდეგ მას რაიმე საფრთხე უკვე აღარ ემუქრება. ცენტრალურ მცველთა წყვილი ხშირად იცვლება. როგორც ბელგიელი ექსპერტი ლოდე დე პოოტერი მიიჩნევს, აქ უპირატესობა უნდა მიენიჭოთ დემოლსა (თამაშობს პორტუგალიის „პორტუში“) და კლიისტერსს („მეხელენი“), თუმცა მეეუვსს უყვარდა გრიუნი (ბრიუსელის „ანდერლეხტი“), ზოგჯერ თამაშობდა სანდერსიც („მეხელენი“). მარცხნივ მცველია ალბერტი („მეხელენი“).

შუა ხაზზე საკმაო არჩევანია. გუნდს ცნობილი დირიჟორი ჰყავს შიფოს სახით. იგი, როგორც ცნობილია ტომით იტალიელია. 18 წლისა უკვე „ვარსკვლავად“ ითვლებოდა. ითვლება, რომ მძიმე ხასიათი აქვს, პარტნიორებს ვერ ეგუება, მიატოვა მილანის „ინტერი“, ბორდოს „ჟირონდა“, ახლა „ოქსერში“ (საფრანგეთი) გამოდის, ვერც ნაკრების პარტნიორებთან დაამყარა კარგი ურთიერთობა. „მუნჯის ენა დედამ იცისო — ნათქვამია, შიფოს მხოლოდ გი თისი უგებს და არჯულებს. გუნდში ჭირვეულ „ვარსკვლავს“ დირიჟორობას ეცილება ჩინებული ოსტატი ემერსი („მეხელენი“). შუა ხაზის სხვა მოთამაშეებია ვან დერ ელსტი („ბრიუგე“), ვერსავალი („მეხელენი“), დე გრიზი („ანდერლეხტი“), რომელიც ხშირად თავდასხმაშიც გამოდის, ვილმოტსი („ანდერლეხტი“).

გუნდის კაპიტანია განთქმული თავდამსხმელი კულემანსი, რომელიც ახლა „ბრიუგეში“ გამოდის. 8 შესარჩევი თამაშიდან იგი შვიდში მონაწილეობდა და დაამტკიცა, რომ კვლავინდებურად ჩინებულად არის მომზადებული. რაკი მეეუვსის „შეტევითი ტაქტიკა“ უკუგდებული იქნა და გუნდი ისევე როგორც ადრე იმედს კონტრშეტევებზე ამყარებს, ბელგიელები მიიჩნევენ, რომ ასეთმა თამაშმა კულემანსს ძნელად რომ მეტოქე ჰყავდესო. იგი კარგად არის შეთამაშებული შედეგიან თავდამსხმელ ვან დერ ლინდენთან („ანდერლეხტი“), რომელმაც შესარჩევ მატჩებში 9 გოლი გაიტანა. შესაძლოა, წინა ხაზზე კულემანსსა და ვან დერ ლინდერთან ერთად ითამაშოს მესამე თავდამსხმელმა ნილისმაც („ანდერლეხტი“).

17 მაისს ბელგიის ჩემპიონატი დამთავრდა. ნაკრების კანდიდატები, რომლებიც აქამდეც საწვრთნელი მატჩების სერიას თამაშობდნენ, 17 მაისიდან მოყოლებული საბოლოოდ მოიყრიან თავს და მათ უცხოეთიდან ჩამოსული ბელგიელებიც შეუერთდებიან. იწყება მზადების საბოლოო ეტაპი.




# ესპანეთი

**საყოველთაოდ** ცნობილია ესპანელების უსაზღვრო ერთგულება ფეხბურთისადმი. ისიც ცხადია, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთის გულშემატკივრებს სიამაყით ავსებს არა იმდენად ნაკრების, არამედ უძლიერესი კლუბების „რეალისა“ (მადრიდი) და „ბარსელონას“ წარმატებები. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, მისგან ყოველთვის ბევრს მოელიან, მაგრამ ეს იმედები მხოლოდ ნაწილობრივ მართლდება. ესპანელები მსოფლიოს 7 ჩემპიონატში მონაწილეობდნენ: (1934, 1950, 1962, 1966, 1978, 1982 და 1986 წლებში), ზოგჯერ არც განთქმული უცხოელი ვარსკვლავების (დი სტეფანო, პუშკაში, კუბალა გადაბირებას ერიდებოდნენ, მათი მაქსიმალური მიღწევა კი მეოთხე ადგილი გახლავთ 1950 წელს). ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა ასეთი საფეხბურთო ქვეყნისთვის.

ფეხბურთი ესპანეთში XIX ს. მიწურულიდან გავრცელდა. 1913 წ. დაარსდა ეროვნული ფედერაცია („ფედერასიონ ესპანიოლა დე ფუტბოლ“), რომელიც ერთი წლის შემდეგ ფიფას წევრი გახდა, 1954 წ. კი უეფას შემადგენლობაში შევიდა. დღეისათვის ესპანეთში 7600 კლუბია, 320 ათასი აღრიცხული ფეხბურთელი, აქედან 2300 პროფესიონალი.

უნდა ითქვას, რომ ესპანეთის ნაკრების ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე ნელა, მაგრამ მაინც აშკარად იზრდება. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ გუნდი ზედიზედ მეოთხედ ჩვდება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. 1982 წელს ესპანეთის ნაკრებმა, თუმცა ჩემპიონატის მასპინძელი იყო, უაღრესად უფეროლად ითამაშა. ამ მარცხის შემდეგ გუნდს სათავეში ჩაუდგა მრავალნაცადი სპეციალისტი, მიგელ მუნიოსი, რომელიც ექვსი წლის მანძილზე კარგ შედეგებს აღწევდა. 1986 წელს მსოფლიო ჩემპიონატში ესპანელები მეოთხედფინალში გავიდნენ, რასაც მხოლოდ 11-მეტრიანი დარტყმების სერიის შემდეგ დამარცხდნენ ბელგიელებთან; მუნიოსის მიერ აწყობილ მექანიზმში თანდათანობით რაღაც მოიშალა, მწვრთნელი გადადგა და წარსულში განთქმული ოსტატით ლუის სუარესით შეიცვალა. ლუის სუარეს მირამონტეს (დაიბ. 1935 წ.). ჯერჯერობით საქმეს ძალიან კარგად უძღვება. მთავარი გამოცდა მას, ცხადია, ჯერ კიდევ წინა აქვს, რადგან ფინალის საგზურის მოპოვება ესპანელებისთვის დიდ გმირობად არ ითვლება.

ესპანელები მსოფლიო პირველობაზე მეექვსე ევროპულ შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ. ვერ ვიტყვით რომ ამ ჯგუფის შემადგენლობა მეტისმეტად ძლიერი იყო. მალტელებს, ცხადია სათვალავში არავინ აგდებდა, უნგრელები ჯერჯერობით კრიზისულ მდგომარეობიდან ვერ გამოდიან, რაც შეეხება ირლანდიელებსა და ჩრდ. ირლანდიელებს, ისინი, რა თქმა უნდა ანგარიშგასაწევი იყვნენ, მაგრამ გადაულახავ ძალას არ წარმოადგენდნენ.

ესპანელების ერთ გამარჯვებას მეორე მოჰყვა. 5 თამაშის შემდეგ გუნდს 5 მოგება ჰქონდა, ბურთების უჩვეულო სხვაობით 14-0! რა თქმა უნდა, ფინალის საგზურების საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. მადრიდის სპორტული გაზეთი „მარკა“ წერდა „ჩვენ კვლავ ვამაყობთ ჩვენი ნაკრებით!“

საბოლოოდ ესპანელებმა შესარჩევი ტურნირი 16 შესაძლებლობიდან 13 ქულით დაამთავრეს და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. დაიწყო ფინალისათვის მზადების ხანგრძლივი ეტაპი, ამხანაგური მატჩების მთელი სერია.

სუარესმა შეარჩია იტალიაში გამგზავრების 16 კანდიდატი (რა თქმა უნდა ამ სიაში ცვლილებებიც მოხდება და განაცხადა, რომ ამ მატჩების შედეგებს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს — მისთვის მთავარია ნაკრების კანდიდატების მზადყოფნის შემოწმება. რა თქმა უნდა, გუნდის ზოგიერთი წევრის პოზიცია სრულიად მტკიცეა, ზოგმა ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ იტალიაში გამგზავრების ღირსია, გასინჯება რამდენიმე ახალგაზრდაც.

თვალი რომ გადავავლოთ ესპანელთა შემადგენლობებს შესარჩევ ამხანაგურ მატჩებში, შეიძლება დავასკვნათ — დაცვა ასე თუ ისე სტაბილიზებულია. სისტემატურად თამაშობს ცნობილი წყვილი მადრიდის „რეალიდან“, 28 წლის ჩენდი და 24 წლის სანჩესი. ნაკრების შედარებით ახალი წევრებია კიკე (25 წლის „ვალენსია“), ბასკი ანდრინუა (25, ბილბაოს „ატლეტიკი“), ჰიმენესი (26, „სევილია“). შუა ხაზზე გამოირჩევა განთქმული ოსტატი მიჩელი (26, მადრიდის „რეალი“), ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარმცველი ევროპაში, რომელიც ჩინებულად თამაშობდა მსოფლიო წინა ჩემპიონატში. ფეხბურთის სამყაროში კარგად იცნობენ ბაკეროს (27, „ბარსელონა“), მარტინ ვასკესს (24, მადრიდის „რეალი“), რობერტოს (27, „ბარსელონა“), შედარებით ახალი წევრებიდან აღნიშნავენ მილას 24, „ბარსელონა“) თავდასხმაში ბუტრაგენიოს, (26, მადრიდის „რეალი“) რომელიც ესპანური და ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ უპირველეს ფორვარდად ითვლება. დაემატა მანოლო (25, მადრიდის „ატლეტიკო“) იტალიაში ეტყობა, გაემგზავრებიან აგრეთვე გამოცდილი თავდამსხმელები ხულიო სალინასი (26, „ბარსელონა“) და ბეგირისტაინი (25, „ბარსელონა“).

როგორც ბერლინის გაზეთ „დოიჩეს შპორტეხოს“ კორესპონდენტი ესპანეთიდან იუწყება, ლუის სუარესმა მიაგნო რამდენიმე ახალგაზრდა, ფრიად პერსპექტიულ მოთამაშეს. ესენია მცველი მანუელი „ოვიედოდან“, შუა ხაზის მოთამაშეები ფულიპე (მადრიდის „ატლეტიკო“) და ჩინებული ტექნიკის მქონე ფერნანდო („ვალენსია“), თავდამსხმელი ფერეირა (მადრიდის „ატლეტიკო“). როგორც მიმომხილველი აღნიშნავს, არცერთი მათგანი არ არის 22 წელზე უფრო უხნესი.

რას ნიშნავს წარმატებით გამოსვლა? სუარესი თვლის რომ ურუგვაელებთან ბელგიელებსა და სამხრეთკორეელებთან ბრძოლაში თავდაპირველად საჭიროა მერვედფინალში გასვლა. სამხრეთ კორეელებს ესპანელი მწვრთნელი დიდი ძალად არ მიიჩნევს (ვინ იცის!), მთელ ყურადღებას ურუგვაელებზე (მათთან არის პირველი მატჩი) და ბელგიელებზე ამახვილებს. ურუგვაელებთან სუარესი ფრეს წინააღმდეგი არ არის, შემდეგ კი ესპანელებს თამაშის გამწვავება მოუხდებათ. მერვედფინალი სუარესისათვის საბრძოლო მიზანი არის, გუნდი შეეცდება, რაც შეიძლება, წინ წაიწიოს, თუმცა მწვრთნელის აზრით, დღეისათვის 5-6 ნაკრები ესპანელებზე უკეთესად თამაშობს.

**გივი გამრეკელი**


**განცხადება**

ორშაბათს, 17.00 საათზე „მხატვრის სახლში“ იხსნება ბულგარელი მხატვარ-კარიკატურისტის, საერთაშორისო ბიენალეს ლაურეატის, **ნიკოლაი რიცდაშკის** ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

**ყურადღება**

კვირას, 20 მაისს, 17 საათზე თეთრ გალერეაში გაიხსნება თბილისელი მხატვრის ლეონიდ სემეიკოს ნამუშევრების გამოფენა. გთხოვთ, მობრძანდეთ.



რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ,კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 Наш индекс 66400.

უე 00283